ელვა

თფილისი
ხუთშაბათი, 23 (5) მარტი.
1906
წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

გაზეთი „ელვა" წლიურათ ღირს 6 მან., თვიურათ 50 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 10 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება დაუბეჭდავ წერილების შესახებ შეიძლება თორმეტიდან მეორე საათამდე. დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში ინახება 10 დღეს.
რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟ. ქუჩ., № 17.

№ 10
ყოველ-დღიური გაზეთი.
№ 10

გაზეთი „ელვა" მევაზეთეებმა **უნდა გაყიდონ სამ კაპეიკათ**, როგორც თფილისში, ისე სხვა ქალაქებში და **სახალხო მატარებლებშიაც.**

წლის 12 მარტიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ელვა"

„ელვა" წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., 5 მარტიდან წლის ლომდის 5 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მევაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

ანცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.
ედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.

ხელის მოწერა მიიღება:
თფილისში: რედაქციის კანტორაში—ველიკოკნიაჟესკ. ქუჩაზე, № 17.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЕЛВА".

რედაქციისაგან:

რედაქცია თხოვს ბ.ბ. ხელის მომწერლებს, გაზეთის მისაღებათ მიმართონ (ფოსტით იან მიდის, ამ საშუალებით კი ადრე მიიღებენ) ჩვენს აგენტებს, რომლებთანაც გაზენომრობით იყიდება და ხელის მოწერაც მიიღება. აგენტების სია: **ქუთაისში**—ამხ. „კოლხიდა". **ბათომში**—მიხ. კალანდაძე, **ფოთში**—იოსებ კოხრეიძე, **ოზურგეთში**—ისე ტუღუში, **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **გორში**—არჩუაძე, **ჭიათურაში**—ვლად. მოსეშვილი, **ზესტაფონში**—ივ. საყვარელიძე, **სამტრედიაში**—როსტომ ილაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **თელავში**—ქეთო ზარაფიშვილისა, **სიღნაღში**—ქ. მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე.

აგრარული კითხვა.

III

ჩვენ ვნახეთ, რომ ვერც „სოციალიზაცია", ვერც „ნაციონალიზაცია" და ვერც „მუნიციპალიზაცია"—ვერც ერთი მათგანი ვერ დააკმაყოფილებს ჯეროვანათ დღევანდელი რევოლიუციის ინტერესებს.

მაშ როგორ უნდა დანაწილდეს ართმეული მიწები, ვის უნდა გადაეცეს საკუთრებათ?

ცხადია, თითონ გლეხებს უნდა გადაეცეს გლეხებისაგან ართმეული მიწები, რომ საშუალება მიეცეთ ერთმანეთში დაიყონ ეს მიწები. ასე უნდა გადიჭრას ზემოთწამოყენებული კითხვა. მიწების დაყოფას საკუთრების ამოძრავება მოჰყვება, ხელ-მოკლენი გაყიდიან მიწებს და პროლეტარიატის გზას დაადგებიან, შეძლებულნი ახალ მიწებს შეიძენენ და ტეხნიკის განვითარებას შეუდგებიან, სოფელი კლასებათ გაიყოფა, გახალდება კლასთა გამწვავებული ბრძოლა და ამგვარათ საძირკველი ჩაიყრება კაპიტალიზმის განვითარებისთვის. როგორც ხედავთ, მიწების დაყოფა თავისთავათ გამომდინარეობს დღევანდელი ეკონომიური განვითარებიდან. მეორე მხრივ, ლოზუნგი—„მიწება გლეხებს, მხოლოდ გლეხებს და სხვას არავის"—წელში გამართავს გლეხკაცობას, ახალ ძალას ჩაბერავს მათ და ხელს შეუწყობს ბოლომდე მიიყვანონ უკვე დაწყებული სოფლის რევოლიუციონური მოძრაობა. როგორც ხედავთ, დღევანდელი რევოლიუციის მიმდინარეობაც მიწების გაყოფაზე გვითითებს.

მოწინააღმდეგენი გვიკიჟინებენ, რომ ყველა ამით თქვენ წვრილ ბურჟუაზიას ალორძინებთ და ეს კი ძირიანათ ეწინააღმდეგება მარქსის მოძღვრებასო. აი რასა სწერს „რევოლ. როსია": „როცა თქვენ გლეხებს აშველებით მემამულეთა ექსპროპრიაციაში, ამით თქვენ, თქვენდა შეუგნებლათ, ხელს უწყობთ წვრილ ბურჟუაზიული მეურნეობის შემოღებას და ცოტათ თუ ბევრათ განვითარებულ კაპიტალისტური მეურნეობის დანგრევას. ეს კი უკან დახევაა ნამდვილი მარქსიზმის შეხედულებითო" (იხ. „რევ. რ." № 75). უნდა მოგახსენოთ, რომ ბ. „კრიტიკოსებს" ფაქტები არევიათ. მათ დავიწყებიათ, რომ მემამულეთა მეურნეობა კაპიტალისტური არაა, რომ ის ბატონყმური მეურნეობის ნაშთია და, მაშასადამე, მემამულეთა ექსპროპრიაციით ბატონყმური მეურნეობის ნაშთები ინგრევა, და არა კაპიტალისტური მეურნეობა. დავიწყებიათ აგრეთვე ის, რომ მარქსიზმის აზრით ბატონყმურ მეურნეობას არას დროს არ მოჰყოლია და არც შეიძლება მოჰყვეს პირდაპირ კაპიტალისტური მეურნეობა—მათ შორის წვრილ ბურჟუაზიული მეურნეობაა აშართული, რომელიც ბატონყმურ მეურნეობას სცვლის და შემდეგ კაპიტალისტურზე გადადის: ჯერ კიდევ „კაპიტალის" მესამე ტომში ამბობდა კარლ მარქსი, რომ ისტორიაში ბატონ-ყმურ მეურნეობას ჯერ სოფლის წვრილ ბურჟუაზიული მეურნეობა მოსდევდა და მხოლოდ შემდეგ ვითარდებოდა სხვილი კაპიტალისტური მეურნეობა—ერთიდან მეორეში პირდაპირი გადახტომა არ ხდებოდა და არც შეიძლებოდა მომხდარიყოვო. ეს ახირებული „კრიტიკოსები" კი გვეუბნებიან, რომ მიწების ართმევა და მათი დაყოფა უკან დახევაა მარქსიზმის აზრითო! ჩქარა იმასაც დაგვაბრალებენ, რომ ვითომ „ბატონყმობის გადავარდნაც" უკან დახევაა მარქსიზმის აზრით, რადგანაც მაშინაც მიწები „ჩამოერთვა" მემამულეებს და წვრილ მეურნეებს—გლეხებს გადაეცა! საწყალი „კრიტიკოსები!" მათ არ იციან, რომ მარქსიზმი ყველაფერს ისტორიული თვალით უყურებს, მათ არ იციან, რომ მარქსიზმის აზრით სოფლის წვრილ ბურჟუაზიული მეურნეობა პროგრესიულია ბატონყმურ მეურნეობასთან შედარებით, რომ ბატონყმური მეურნეობის დანგრევა და წვრილ ბურჟუაზიულის შემოღება აუცილებელი პირობაა კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელიც შემდეგ უკუაგდებს ამ წვრილ ბურჟუაზიულ მეურნეობას... მაგრამ გავანებოთ თავი „კრიტიკოსებს". საქმე იმაშია, რომ მიწების გლეხებზე გადაცემა და შემდეგ მათი დაყოფა ძირს უთხრის ბატონყმურ ნაშთებს, ნიადაგს უმზადებს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებას, შესამჩნევათ ამაღლებს რევოლიუციის ტალღებს და სწორეთ ამიტომ არის ის მისაღები სოციალდემოკრატიული პარტიისგან.

მაშ ასე. ბატონყმური ნაშთების მოსასპობათ მთელი მიწების კონფისკაციაა საჭირო, ხოლო ეს მიწები თითონ გლეხებმა უნდა დაისაკუთრონ და დაიყონ, თანახმათ თავიანთი ინტერესებისა. ამ ნიადაგზე უნდა აშენდეს პარტიის აგრარული პროგრამა.

გვეტყვიან: ყველა ეს გლეხებისთვისაა ნათქვამი, მაგრამ სოფლის პროლეტარებს რაღას უშვრებითო? ჩვენ უპასუხებთ, რომ თუ გლეხებისთვის დემოკრატიული აგრარული პროგრამაა საჭირო, სოფლისა და ქალაქის პროლეტარებისთვის სოციალისტური პროგრამა არსებობს, სადაც მათი კლასიური ინტერესები იხატება, ხოლო მათი სადღეისო ინტერესებისთვის პროგრამა-მინიმუმის თექსმეტი მუხლია შემუშავებული, სადაც შრომის პირობების გაუმჯობესებაზეა ლაპარაკი (იხ. „პარტიის პროგრამა, მეორე სიეზდზე მიღებული"). დღეს-დღეობით კი პარტიის პირდაპირი სოციალისტური მუშაობა იმაში გამოიხატება, რომ სოციალისტურ პროპაგანდას ეწევა სოფლის პროლეტარებში, საკუთარ სოციალისტურ ორგანიზაციებათ აერთებს მათ და ქალაქის პროლეტარებთან ასისხლხორცებს ცალკე პოლიტიკურ პარტიათ. პარტიას მუდამ გლეხების ამ ნაწილთან აქვს საქმე და ეუბნება მათ: რამდენათაც დემოკრატიულ რევოლიუციას ახორციელებთ, იმდენათ კავშირი იქონიეთ მებრძოლ გლეხებთან და ებრძოლეთ მემამულეებს, ხოლო რამდენათაც სოციალიზმისკენ მიდიხართ—ხელ-ლებით შეესისხლხორცეთ ქალაქის პროლეტარებს და დაურიდებლათ ებრძოლეთ ყველა ბურჟუას, სულ ერთია გლეხი იქნება ის თუ აზნაური. გლეხებთან ერთათ დემოკრატიული რესპუბლიკისთვის! მუშებთან ერთათ სოციალისტური ცხოვრებისთვის! აი რას ეუბნება პარტია სოფლის პროლეტარებს. თუ პროლეტართა მოძრაობა და მათი სოციალისტური პროგრამა კლასიური ბრძოლის ცეცხლს დაანთებს, რომ მით სამუდამოთ მოისპოს ყოველივე კლასობრიობა,—სამაგიეროთ გლეხთა მოძრაობა და მისი აგრარულ-დემოკრატიული პროგრამა წოდებათა ბრძოლის ცეცხლს დაანთებს სოფელში, რომ მით ძირიან-ფესვიანათ მოისპოს ყოველივე წოდებრიობა.

—

P. S. წერილის გათავებისას არ შეიძლება არ გამოვეპასუხოთ ერთ მკითხველს, რომელიც შემდეგსა გვწერს: „მაინც ვერ დამაკმაყოფილა თქვენმა პირველმა წერილმა, ნუ თუ არ ეწინააღმდეგებოდა პარტია მთელი მიწების კონფისკაციას, და თუ ეს ასე იყო, რატომ არ ამბობდა ამას?". დიახ, პატივცემულო მკითხველო, არას დროს არ ყოფილა პარტია ამგვარი კონფისკაციის წინააღმდეგი. ჯერ კიდევ მეორე სიეზდზე, სწორეთ იმ სიეზდზე, სადაც „ჩამონაჭრების" პუნქტი მიიღეს,—ჯერ კიდევ ამ სიეზდზე (1903 წ.) ამბობდა პარტია პლეხანოვისა და ლენინის პირით, რომ ჩვენ მხარს დაუჭერთ გლეხებს, თუ კი ისინი მთელი მიწების კონფისკაციას მოითხოვენო*). ორი წლის შემდეგ (1905 წ.) პარტიის ორივე ფრაქციამ, „უმრავლესობამ" მესამე სიეზდზე და „უმცირესობამ" პირველ კონფერენციაზე ერთხმათ აღიარეს, რომ თავით ბოლომდე მხარს დაუჭერთ გლეხებს მთელი მიწების კონფისკაციაშიო**). შემდეგ ორივე პარტიულ გაზეთში, როგორც „ისკრასა" და „პროლეტარში", ისე „ნოვაია ჟიზნსა" და „ნაჩალოში" რამდენჯერმე უწოდებდენ გლეხობას მთელი მიწების კონფისკაციისკენ... როგორც ხედავთ პარტია თავიდანვე მომხრე ყოფილა მთელი მიწების კონფისკაციის, მაშასადამე, არავითარი საბუთი არა გაქვთ იფიქროთ, რომ ვითომ პარტია უკან მისდევდა გლეხთა მოძრაობას—ჯერ რიგიანათ არცკი დაწყებულიყო გლეხთა მოძრაობა, ჯერ „ჩამონაჭრებსაც" კი არ ითხოვდენ გლეხები, რომ პარტია მთელი მიწების კონფისკაციაზე ლაპარაკობდა თავის მეორე სიეზდზე. და თუ თქვენ მაინც გვეკითხებით, რატომ 1903-შივე არ შეიტანეს პროგრამაში მთელი მიწების კონფისკაციაო, ჩვენ კითხვითვე გიპასუხებთ: რატომ იყო, რომ სოციალ-რევოლიუციონერებმა 1900-შივე არ შეიტანეს თავიანთ პროგრამაში დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა, ნუთუ წინააღმდეგი იყვნენ ამ მოთხოვნის***). რატომ იყო, რომ მაშინ მარტო ნაციონალიზაციაზე ლაპარაკობდენ, დღეს კი ყურები გამოგვიჭედეს სოციალიზაციით? და თუ დღეს პროგ.-მინიმუმში 7 ს. სამუშაო დღეზე არაფერს ვამბობთ, ნუ თუ ეს იმასა ნიშნავს, რომ მისი წინააღმდეგი ვართ? მაშ რაში ყოფილა საქმე? მხოლოდ იმაში, რომ 1903 წელს, როცა მოძრაობა ის იყო ფეხს იდგამდა, მთელი მიწების კონფისკაცია ქაღალდზე დარჩებოდა—უსუსური მოძრაობა ვერ მოინელებდა ამ მოთხოვნას, ისევ „ჩამონაჭრები" უფრო შეეფერებოდა იმ დროს. ხოლო შემდეგ, როცა მოძრაობა გაიზარდა და პრაქტიკული კითხვები წამოაყენა, აქ საჭირო იყო პარტიას ეჩვენებინა, რომ „ჩამონაჭრებზე" ვერ შეჩერდება და არც უნდა შეჩერდეს მოძრაობა,—მისთვის მთელი მიწების კონფისკაციაა საჭიროვო. ასეთია ფაქტები.

დასასრულ ორიოდე სიტყვა „ცნ. ფურცელზე" (იხ. № 3033). ეს გაზეთი რაღაებსაც ჩმახავს „მოდაზე" და „პრინციპზე" და გვარწმუნებს, რომ ვითომ პარტიას როდისმე პრინციპათ გამოეტანოს „ჩამონაჭრები". რომ ეს ტყუილია, რომ პარტია პრინციპიალურათ თავიდანვე ხმამაღლა ეთანხმებოდა მთელი მიწების კონფისკაციას, ამას ზემოთაც დაინახავდა მკითხველი. რაც შეეხება იმას, რომ „ცნ. ფ." ვერ არჩევს პრინციპსა და პრაქტიკას, ამას არა უშავსრა—გაიზრდება და ისწავლის მათ გარჩევას*).

ი. ბესოშვილი

---

*) იხ. „მეორე სიეზდის პროტოკოლები".

**) იხ. „მესამე სიეზდის პროტოკოლები" და „პირველი კონფერენცია".

***) იხ. „ნაში ზადაჩი", გამოც. „სოციალ-რევოლიუციონერთა კავშირისა". 1900 წ.

*) „ცნობ. ფ." „გაუგონია" სადღაც, რომ „რუსეთის სოც.-დემოკრატებმა... მიიღეს ახალი აგრარული პროგრამა, რომლის ძალითაც... მიწების მუნიციპალიზაციას უჭერენ მხარს". უნდა მოგახსენოთ, რომ **არავითარი ახეთი პროგრამა არ მიუღია რუსეთის სოც.-დემოკრატებს**. პროგრამის მიღება სიეზდის საქმეა და ეს სიეზდი კი ჯერ არ მომხდარა. ცხადია „ცნ. ფ." შეცდომაში შეუყვანია ვიღასაც თუ რაღასაც. ძალიან კარგს იზამდა „ცნ. ფ.", განზე „გაგონილი სიტყვებით არ გაუმასპინძლდებოდა მკითხველებს.

ადგილობრივი პრესა

—

„ჰარაჯი" პოლიტიკურ ბურუსიდან თანდათან ირკვევა. ის თანდათან აჩენს თავის ნამდვილ სახეს, იძრობს პირბადეს და ასე „ძალათ რევოლიუციონერობას" თავს ანებებს. ამ გაზეთის მე-49 ნომერში დასტამბულია წერილი შესახებ ბათომის მუშების და კაპიტალისტების დამოკიდებულებისა. ავტორი კითხულობს: ვინ იყო მიზეზი ზაოდების დახურვისაო და უპასუხებს—ბიუროკრატიაო. ე. ი. აკრძალულია თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრების და ამიტომ მუშათა მოძრაობა ხდება საიდუმლო, კონსპირატიულიო. მერე? მერე ის, რომ მუშათა გადაწყვეტილება რჩება კრიტიკის გარეშე და ასე მასთან ბრძოლა შეუძლებელი ხდება, და აი სწორეთ ეს გადაწყვეტილებებია მიზეზი ბათომის ქარხანათა დახურვისაო, ბრძანებს „ჰარაჯი". აი მისი სიტყვები:

„მუშათა საიდუმლო კრებები, მათი გადაწყვეტილებანი, მათ მიერ წამოყენებული „სავალდებულო კანონები" რჩებოდენ და ახლაც რჩებიან გარეშე თავისუფალი, მოუსყიდველი და გულშემატკივარი კრიტიკისა, როგორც ზეპირის, ისე მწერლობის. როგორ უნდა გაუწიო კრიტიკა, როცა არ არის სიტყვის, კრების, პრესის თავისუფლება. გინდა დღევანდელმა პრესამ მოიწადინოს კრიტიკის გაწევა ცალმხრივი გამოვა, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარე—მუშათა ორგანოები—ან არ არსებობენ, ან თუ არიან ეშინიათ აშკარათ ილაპარაკონ. აი ამ იძულებული სიჩუმის მიზეზით მუშები ყველაფერს ჩადიოდენ, განკარგულებას აძლევდენ, სწყვეტდენ, დარწმუნებულნი, რომ იმათი საქციელი მტკნარი ჭეშმარიტებაა, შეცდომები ემატებოდენ შეცდომებს, როგორც ყველა იდუმალ, კონსპირატიულ პარტიებში. კაპიტალისტები ძალდატანებით მორბილებულნი, უანგარიშოთ, მოუფიქრებლათ უთმობდენ მუშებს, ხანდახან კი ბინძურ საშუალებებს მიმართავდენ. ეს ყველაფერი იხლართებოდა ერთმანეთში და მიზეზათ ხდებოდა მუშათა ცხოვრებაში არა ნორმალური მოვლენებისა. ჯერ კიდევ მოუმზადებელი, ანა-ბანის უცოდნელი და ხშირათ ხეპრე მუშები ერთბაშათ იწყებდენ „რეჩობას" და მოთხოვნას რვა საათის სამუშაო დღის და სხვა ამისთანებს, რისაც არაფერი გაეგებოდათ და რაც უსაჭიროესი და უმართლესი მოთხოვნა იქნებოდა, თუ რომ ცოტა განსხვავებულ პირობებში და შეგნებულ წრეების ატმოსფერაში იქნებოდა წამოყენებული. მოუმზადებელი ხალხი გრძნობდა ძალას მკლავში და საკმარისათ სარგებლობდა ამით. მრავალი მაგალითია იმის, რომ უბრალო ნოქრები, უვიცი და მარტო ხელის მოწერის მცოდნენი, მოიპოვებდენ რა ცოტაოდენ გავლენას მუშებში, ხდებოდენ პაწია მტარვალები, იხდენ ამა თუ იმ დაჩაში და ჯამაგირს ღებულობდენ, ყოფილა შემთხვევები, როცა უვიცი კაცების შთაგონებით კაპიტალისტებისადმი სიძულვილს იმ ზომამდის მიუღწევია, რომ ზოგნი განგებ ამტვრევდენ მანქანებს, აფუჭებდენ სხვა და სხვა ნივთებს, რომ ამით „ბურჟუებს აზარალონ". ამიტომ ქარხნები დაიხურაო.,

როგორც ამ გრძელი ამონაწერიდან ნათლათ სჩანს, მანთაშოვის ზავოდების დახურვის მიზეზი ყოფილა მუშათა უდიერობა, გაუმაძღრობა, მოტყუება, ერთი სიტყვით ძალმომრეობა. მუშები დასევიან საწყალ კაპიტალისტებს და გაუძარცვავთ. და ეს იმიტომ, რომ არ ყოფილა თავისუფლება ამ „ხეპრე" ხალხთან ბრძოლისა.

„ჰარაჯი" ნატრობს თავისუფლებას არა მუშების სასარგებლოთ არამედ კაპიტალისტების ვინაიდან მაშინ იქნება შესაძლებელიო მუშათა მოქმედების კრიტიკა არა-მუშათა ე. ი. ბურჟუაზიის, მიერ. ამას ეწოდება თურმე „მოუსყიდველი კრიტიკა".

და ასე, ბიუროკრატია არ ანებებს ბურჟუაზიას მუშების მოქმედება გააკრიტიკოს, ხოლო მუშები ამით სარგებლობენ, უდიერ მოთხოვნილებებს აყენებენ და კაპიტალისტებს „ტყავს აძრობენ". აი ბურჟუა-იდეოლოგის ნამდვილი სულისკვეთება, აი „ჰარაჯის" ნამდვილი დროშა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სომხურ ენაზე გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული სომხური გაზეთი „კიანქი" (ცხოვრება). დღემდის სომხური პრესა, როგორც „კიანქი" სამართლიანათ აღნიშნავს, ხელში ჰქონდათ ჩაგდებული ბურჟუა-ნაციონალისტებს, რომელნიც „ერის" სახელით თავისუფლათ თარეშობდენ სომხის მუშის ზურგზე, და ეს იმ ზომამდის, რომ ლამის მთელი ერი გამოთიშონ რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისაგან და თავის ვიწრო ნაციონალიზმში ჩაბან. ამ პრესას ერთი ლახვარი ესობა „კიანქის" გამოსვლით. ვუსურვებთ ამ ახალ მოძმეს ძლევამოსილ მსვლელობას თავის ეკლიან გზაზე.

ახალი ამბები

◆ **რიცხვი იმ ბინის დამქირავებლებისა,** თფილისში, რომლებიც ბინის გადასახადს არ იხდიან: მეორე საპოლიციო ნაწილში 439 კაცი: მესამეში—283; მეოთხეში—346; მეექვსეში—331.

◆ როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში კვირეული **გაზ. „ივერია"** ყოველ დღიურათ გამოვა.

◆ 21 მარტს საღამოს 5 საათზე ავჭალის კონკის ვაგონში ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების ზედამხედველს კორპოზს თავს დაეცა ორი ყმაწვილი კაცი და რევოლვერით **მძიმეთ დასჭრეს**. თავდამსხმელები მყისვე მიიმალენ. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

◆ 20 მარტს იმერეთიდან ჩამოვიდა **ერთი მატარებელი სალდათებით და აფიცრებით,** რომლებმაც თან ჩამოიტანეს პოვოსკები, ქვაბები, რამდენიმე ზარბაზანი და სხვა სამხედრო ნივთები.

◆ როგორც გავიგეთ, სახელმწიფო მამულების სამმართველო დიდ ფაცი-ფუცშია ეს ორი კვირაა. საქმე იმაშია, რომ სამმართველოს მოწერილობა მიუღია ჩქარა ცნობაში მოიყვანონ სახელმწიფო ადგილების რაოდენობა იმ მიზნით, რომ **გლეხებს** ამ გაზაფხულზე **მიწები გადასცეს.**

◆ გენერალ-გუბერნატორთან ამ ჟამათ წყდება საკითხი საპოლიციო სამმართველოებთან **სატუსაღო სახლების** მოწყობის შესახებ.

◆ **სოფ. ქარელიდან** „ცნ. ფ."-ს ატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში **ზარბაზნები ჩაუტანიათ.**

◆ როგორც მკითხველებმა იციან, სამოსამართლო პალატამ კაჭაროვს, კაჩაურსა, პავლიაშვილსა და ბასტრიჩევს, გადაუწყვიტა სამუდამოთ ციმბირში გადასახლება. ამ დადგენილებას ბრალდებულნი არ დასთანხმდენ და **საქმე სენატში გადააქვთ.** („ც. ფ.")

◆ **ბათუმში**, ბ-ნ ა. ბებურიშვილის რედაქტორობით განუზრახავთ **ქართულ გაზეთის გამოცემა.** სახელათ ამ ახალ გაზეთს „შიკრიკი" ერქმევა. („ცნ. ფ.").

◆ ნამესტნიკმა ნება დართო **დაარსებულ იქნას** მთავრობის პროგიმნაზია სოხუმში და გიმნაზია ფოთში.

◆ **სოფ. ვანქი** (შუშის მაზრა). შუშის მომრიგებელი შუამავალი ერმოლაევი ყაზახებით და ზარბაზნებით დათარეშობს ტოლის ხეობაში; მოითხოვს იარაღს და შეძლებულ სომხებიდან ფულს. ყუმბარებით

დააზიანეს სოფლები: თალლარი, ტოლი, სარქისაშენ, მოხრანესი და დუმი. მცხოვრებლებს სცემენ, დედაკაცებს აუპატიურებენ, სარჩო-საბადებელი მიაქვთ, თუმც ხალხი დაუყონებლივ ასრულებს მოთხოვნებს. ტყეებში გახიზნული ხალხი შიშით ცახცახებს („ჰარაჯი“).

◆ **შუშა.** 19 მარტს, ალდამში თათრებმა შეაჩერეს სომხებით სავსე დილიჟნები, დასჭრეს ორი. წამოასწრეს ყაზახებმა და მოკლეს რამდენიმე თათარი. სომხები გაანთავისუფლეს („ჰარაჯი“).

◆ **ბაქო.** 18 მარტს, რამდენიმე კაცი, პროკურორის, ჟანდარმის და ოკოლოდოჩნის ტანისამოსში ჩაცმული, შეიჭრა თათრების კანტორებში ვითომდა ყალბი ფულის აღმოსაჩენათ. ისინი მალე ვერ იცნეს და კინაღამ შეცდომაში შეიყვანეს სპარსეთის კონსული. ეჭვის აღებისათანავე უცნობები მიიმალენ და წაიღეს რამდენიმე ასი მანათი („მშაკი“).

ს. ჩიბათიდან (გურია) იწერებიან, რომ იქ 17 მარტს, დაუჭერიათ სამი კაცი სარჯველაძენი. მოელიან სხვების დაჭერასაც, რადგან 4 აზნაურს გვარათ ქყონიძეს, რომელთაც ბოიკოტი ქონდათ გამოცხადებული, პრისტავთან უჩივლიათ საზოგადოებისთვის.

◆ **ტყიბულიდან გვწერენ**, რომ იქ სტრაჟნიკებს 19 მარტს თავში დაუჭრიათ ხმლით ვიქტორ ნასარიძე, რომელიც თურმე სადილობდა, და როცა მას წინააღმდეგობა გაუწევია, ჯერ რევოლვერით დაუჭრიათ და მერე შეპყრობილი წაუყვანიათ. ასეთი ამბები ხშირათ ხდება თურმე.

◆ დიდუბის ღამის თავშესაფარში ამ ჟამათ იმყოფება **ხონიდან** ჩამოსული **მეტათ გაჭირვებული** ქვრივი ქალი ნინა რუხაძე ოთხი პატარა ბავშვით. საცოდავებს, თუ არავინ უშველათ, სიმშილით სიკვდილი მოელით.

◆ **ყაზახიდან** „ვესტ. ვოზრ.“-ას ატყობინებენ, რომ გენერალ ლევიცკიმ მაზრის მცხოვრებთ 690 ათასი მანეთი ჯარიმა გააწერა; თათრებზე 370 მანეთია გაწერილი, სომხებზე—320 ათასი. ამ ჯარიმის ფულის დანიშნულება არავინ იცის.

◆ **გეოქჩაიდან** იმავე გაზეთს სწერენ, რომ გეოქჩაის მაზრის სომხები გამალებით იარაღდებიან, ასეთივე ამბები შემახიის მაზრიდანაც თურმე მოდის.

◆ **ითარგმნება** ნუმაკოვის წიგნი „სახალხო თვითმართველობა ახალ ზელანდიაში“.

ითარგმნება „მთავრობის პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე“.

◆ თფილისის კონსტ.-დემოკრატებს განზრახვა აქვთ, წაიკითხონ მთელი რიგი **ლექციებისა**: 1) 26 მარტს, ავლაბრის თეატრში ა. ქალანთარი სომხურათ წაიკითხავს სათათბიროს არჩევნების შესახებ; 2) 30 მარტს, ხუთშაბათს, არტისტიულ საზოგადოების შენობაში წაიკითხავს ლექციას „მუშათა კანონმდებლობის შესახებ; 3) 31 მარტს, პ. დოლუხანოვი არტისტიულ საზოგადოების შენობაშივე წაიკითხავს „საარჩევნო უფლებებზე“ და 4) 1 აპრილს, არტისტიულ საზოგადოებაშივე ი. სემიონოვი „კ.-დემოკრატების პროგრამაზე“. ამას გარდა თფილისის ბიუროს თავმჯდომარე გ. თუმანოვი აპრილს აღდგომის კვირეში კავკასიის [illegible]ულ საზოგადოების შენობაში წა[illegible]ხოს რეფერატი „კავკასიისთვის სახელ[illegible] მნიშვნელობის შესახებ“.

◆ [illegible] შუამდგომლობა აღძრა გამგე[illegible] ზოგიერთ მოსამსახურეთა საჭიროების გამო იარაღის ტარების ნება მიეცესო.

◆ გუშინ საღამოს ხუთ საათზე ავჭალის ქუჩაზე ერთმა თფილისის მეორე მსროლელ ბატალიონის აფიცრმა, სამაგალითო ერთგულება გამოიჩინა, როგორც გადმოგვცეს ის ძალზე მთვრალი თავის სალდათებით გაჩერებულა ავჭალის ქუჩაზე და თითქო ბრძოლის ველზეაო ისე გაჰყვიროდა თურმე „გაჩხრიკეთ! სცემეთო“ და სხვ. და თან უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა. გააჩერა ფქვილით დატვირთული დროგი და უბრძანა სალდათებს ტომრების გადმოყრა. ბევრი ეხვეწენ მედროგეებმა, მარა არ გასჭრა, ეს არ აკმარა და ხიშტებითაც დაუჩხვლიტა. ამდროს საიდგანღაც ორი ჯენტლმენი შეეხეჩა, ეცა მათ თვითონ გმირი აფიცერი, გასჩხრიკა და რევოლვერი ამოაცალა. ამის დანახვაზე ისეთი გაბრაზდა, რომ მისდგა და რამდენიც შეეძლო სცემა და შემდეგ პოლიციაში წაიყვანა. ჯენტლმენები ორივე საიდუმლო აგენტი აღმოჩნდა.

◆ როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის საბჭოს დარბაზში 29 აგვისტოს მომხდარ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ქალაქის საბჭო სამსახურიდან გადადგა. 2 თვის „გაფიცვის“ შემდეგ საბჭო ისევ თავის სამსახურს დაუბრუნდა. ამის გამო ხმ. ზუბალოვმა განცხადება მისცა ქალაქის თავის მოადგილეს, სადაც აცხადებდა, რომ საბჭო უკანონოთ დაუბრუნდა სამსახურს და მისი ყოველნაირი გადაწყვეტილებაც უკანონოთ უნდა ჩაითვალოსო. ქალაქის თავის მოადგილემ განცხადების ავტორს პასუხი გაზეთებით გასცა. ახლა ქალაქის გამგეობამ ბ. ზუბალოვისგან მიიღო დიდი მოხსენება, სადაც აწერილია, თითქო ქალაქის თავის მოადგილეს უკანონოთ დაეფაროს მისი წინანდელი განცხადება საბჭოს უკანონობის შესახებ და სხ. ხმოსანი ზუბალოვი ითხოვს ეს მისი განცხადება საბჭომ განიხილოს და ქალაქის თავის მოადგილის საქციელი გამოააშკარაოს.

◆ გამოვიდა ქართულ ენაზე და უკვე იყიდება შიპელის „პროფესიონალური კავშირები“ თარგმანი გ. ნინიძისა. ფასი 12 კ. და „როგორ იბრძოდენ გლეხები სიცილიაში“ თარგ. პოლ. კალანდაძისა. ფასი 13 კ. გამ. ივ. ტინცაძისა.

◆ ლეხამურის მღვდლის 1901 წლის ჯამაგირი ყოფილა დარჩენილი. სინოდის კანტორას აღუძრავს შუამდგომლობა და სინოდს გამოუგზავნია 1903 წ. 514 მ. და 50 კ. მღვდლის დასაკმაყოფილებლათ. ყოფილს ხაზინადარს არდაზიანს ჩაუწერია ეს ფული შემოსავლის წიგნში, მაგრამ გაგზავნით კი აღარ გაუგზავნია და სხვა ფულთან ისიც ჩაუკაბნია. მღვდელმა ითხოვა, მომეცი ჩემი ფულიო, მაგრამ კანტორამ უქონლობისა გამო, უარი უთხრა.

სათათბიროს არჩევნები

—

ამრჩეველთა საყურადღებოთ. თუმცა ამრჩეველთაგან განცხადების შეტანის ვადა საცაა გავა (24 მარტი), დღემდე მხოლოდ 29 წერილობითი განცხადება წარუდგენიათ, და ცოტა უფრო მეტს კიდევ სიტყვიერათ მოუკითხავს—ვარ თუ არა სიებში ჩაწერილი ბინის ან სამსახურის ცენზითო, ასე რომ გამცხადებელთა საერთო რიცხვი ძლივს 100—101 უწევს. ამის გამო ქალაქის გამგეობა ხელმეორეთ მოიწვევს ამრჩეველთ—დააჩქარეთ განცხადების შემოტანაო.

—

თფილისის მაზრის **მიწათმფლობელთა სიეზდი** სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების მოსახდენათ დაიგვიანეს, რადგან ჯერ ცნობაში მოყვანილი არ არის მათი სიები. ყველა მიწათმფლობელთა რიცხვი მაზრაში უდრის 3,000-ს, მათ შორის 1,700 წვრილი მიწათმფლობელია. საგუბერნიო კრებისათვის მიწათმფლობელნი ირჩევენ 3 რწმუნებულს.

—

ფშავ-ხევსურეთში რწმუნებულების ასარჩევათ კრებები დაიწყება 27 მარტს. თიანეთის მაზრის უფროსის ზედამხედველობით. მაზრის უფროსს განზრახვა აქვს ამ თვის 26 წავიდეს ს. მაღაროსკარს („ცნ. ფ.“).

—

ს. ალავერდი. (ბორჩალოს მაზრა) იქაურ ქარხნების მუშებს („კავკასიის სამრეწველო და სამეტალურგიო საზოგადოებისა“) რიცხვით 3 ათასამდე აურჩევიათ სახელმწიფო სათათბიროსათვის ერთი ამომრჩეველი პ. ა. ლამბროსი. ეს პირი დურგალთა სახელოსნოს ცეხის გამგეა; არცერთ პარტიას არ ეკუთვნის, უფრო კი „პატრიოტული“ მიმართულება აქვს.

—

თფილისის მაზრაში 13 სოფელში აურჩევიათ: 1. სოფ. წყნეთში—15 გლეხი; 2. ს. დიდებაში—2; 3. ს. ახალ-დაბაში—2; 4. დიდი-ენაგორში—6; 5. საფარაშენში—2; 6. ადის-უბანში—2; 7. პატარა-ენაგორში—2; 8. ფარცხისში—3; 9. ბოქვში—1; 10. გოლთეთში—1; 11. თბისში—1; 12. შავსაყდარში—2; 13. ჩხიკიტაში—1.

—

ქალაქის გამგეობამ მიიღო თფილისის სასამართლო პალატის პროკურორისაგან ხმ. ა. ევანგულოვის განცხადება იმის შესახებ, რომ ადგილობრივ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა იქნეს აღძრული თფილისში **სამხედრო წესების** გაუქმების შესახებ, რადგან უამისოთ ყოვლად შეუძლებელია წესიერი არჩევნები მოხდესო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა—გამოეცხადოს ხმოსანს ევანგულოვს, რომ გამგეობას უკვე ჰქონდა ამის შესახებ კრება და კიდევაც გადასწყვიტა თხოვოს ადგილობრივ მთავრობას სათათბირო არჩევნების დროს ხალხს მიეცეს ყოველნაირი თავისუფლება.

—

ამ დღეებში, თფილისში ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთ თათბირი ჰქონდათ, სადაც სხვათა შორის **გადასინჯეს სია იმ პირთა**, რომელთაც სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ. თათბირზე სხვათა შორის დაადგინეს—თხოვონ თფილისის გუბერნატორს, რომ სათათბიროს არჩევნები სადახლოში ან შულავერში გაიმართოს, რადგან რკინის გზის მახლობლათ მდებარეობისა გამო ეს ადგილები მოხერხებულიაო.

—

ქალაქის გამგეობამ კიდევ მიიღო სია იმ პირთა, რომელთაც უფლება ეძლევათ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ შემდეგ დაწესებულებათაგან: 1. თფილისის ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში მოსამსახურეთაგან, (37 კაცი); 2. თფილისის საგუბერნიო საპყრობილეში და მეტეხის ციხეში მოსამსახურეთაგან, ადმინისტრაციულ მოხელეებისა, სასულიერო პირთა და ექიმებისა (108 კაც.). 3. თფილისის ნიკოლოოზის პირველ სამოქალაქო სასწავლებელში მოსამსახურეთაგან (6 კაც.). 4. თფილისის საქალებო პირველ გიმნაზიაში მოსამსახურეთაგან (1 კაცი). 5. თფილისის სახალხო სასწავლებელთა დირექციაში მოსამსახურეთაგან. 6. თფილისის პირველ საქალაქო სასწავლებელში მოსამსახურეთაგან (13 კაც.). 7. რკინის გზის მე-7 ნაწილში მოსამსახურეთაგან (16 კაც.) და 8. თფილისის რკინის გზის 6 კლასიან სასწავლებელში მოსამსახურეთაგან (14 კაც.).

—

ამიერ კავკასიის რკინის გზის ზოგიერთ ადგილებში აგვიანებენ მოსამსახურეთა საარჩევნო სიების შედგენას, რითაც აგვიანებენ არჩევნების საქმესაც.

—

თფილისის გუბერნატორი თხოვს თფილისის სახაზინო პალატას გადასდოს 4,125 მან. სათათბიროს არჩევნებზე დასახარჯათ.

—

თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა შეატყობინა თფილისის გუბერნატორს, რომ თიანეთის სამაზრო საარჩევნო კომისიაში მონაწილეობას მიიღებს თელავის მაზრის თავად-აზნ. წინამძღოლი თავ. მ. ზ. ჩოლოყაშვილი, ხოლო თელავისაში კი მისი თანაშემწე მ. ზ. ჭავჭავაძე.

კავკასია.

—

ფოთი. ფოთის სატუსაღოში დღეს სამოცდა შვიდი ტუსაღი ყოფილა, (ადგილი კი სულ 25 კაცის არის სატუსაღოში) მათ შორის პოლიტიკური დამნაშავე შემდეგი პირებია: გ. აბრასამია, ს. ხაფთასი, ალ. ბოლქვაძე, ონის. ჟვანია, ანტ. ჟღენტი, ექვ. მაღნარაძე, განო კობახიძე და სხვები. უდანაშაულოთ ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება ხშირია. დახშული ჰაერი, კაცი კაცზე მწოლიარე; საჭმელს შიგ, როგორც გადმოგვცეს, არ აკეთებენ და ოცდაოთხი საათის განმავლობაში თორმეტ კაპეიკის ანაბარა არიან. ყოველივე ეს გაითვალისწინე მკითხველო და ამის შემდეგ ადვილათ წარმოიდგენ, რა მდგომარეობაში ყოფილა ფოთის ციხის ტუსაღები, ზედ დაურთე უქიმობა, უწამლობა. სენაკის მაზრის სოფელ თეკლათის მცხოვრები ნესტორ ნანეიშვილი სატუსაღოში მიუყვანიათ შვიდ მარტს ბათუმიდან, სხვა ტუსაღებთან ერთათ. ძალზე სუსტი, გამხდარი, ექვს დღეს საერთო განყოფილებაში დაუგდიათ და როცა აღსასრულის დღე მოახლოვებია, ზემო სართულში ვითომდა ავადმყოფების განყოფილებაში, გადაუყვანიათ. ტუსაღები დაჟინებით თხოულობდენ ექიმს, წამალს, საჭმელს, მაგრამ გამგონე არავინ იყო. მხოლოდ როცა ტუსაღების გაფიცვით, როცა ნესტორ ნანეიშვილი გადაიცვალა, გამოცხადდა ექიმი რომელმაც შეამოწმა „უკვე მომკვდარაო“. ასე ამ რიგათ ტანჯვა-წვალებაში განუტევებია სული დიდ-დამნაშავეს, რომლის დანაშაული ის ყოფილა რომ პასპორტი არა ქონია...

ქუხილი

—

ცხინვალი. ცხინვალში ამ ხანათ მუშაობს კომისია გორის მაზრის თავმჯდომარეობით. ეს კომისია იმ მიზნით ყოფილა შემდგარი, რომ ყოველივე ზარალი, რაც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ თავად-აზნაურობას მიაყენა, გლეხკაცობას გადაახდევინოს. გადახდევინების საქმე ამ კომისიას ასე მოუწყვია: დაზარალებულ თავად-აზნაურობისათვის ზარალის სიები მოუთხოვნია. სიებში აღნიშნულ ფულს თუ ჭირნახულს ბოქაული კაზაკების თანხლებით ხალხს ახდევინებდა. მადა გახსნილ თავად-აზნაურებს მამა პაპიდან დარჩენილი რამეები ახლა მოუგონიათ და გადასახდევინებელ სიებში შეუტანიათ, თვით იმ კეთილშობილთ, რომლებმაც წარსულ ზაფხულს „ცნობ. ფურც.“ ფურცლებზე თავიანთი რაინდული განცხადებებით ყურები გამოგვიჭედეს, ეხლა ისევ ძველი წესი და ადათი მოუგონიათ და ისევ მამაპაპურათ გამოუწრიალავთ გლეხკაცობა. მაჩაბელმა, თაქთაქიშვილებმა და ზოგიერთმა ფავლენიშვილებმა მოუხდავთ იმისა, რომ მთელ საზოგადოებას ამცნეს თავიანთი გადაწყვეტილება გადასახადების შესახებ, ხოლო ისევ წინანდებურათ და ზოგიერთებმა კი თურმე ერთი-ორათაც აკრიფეს გადასახადები.

ზემოთ ხსენებულ კომისიის დადგენილებით ტირძნისის გლეხკაცობას მარტო დალებს ექვსას თუმნამდი ფული გადაუხდია სულხანიშვილის ქვრივისათვის. ამავე სულხანიშვილის სახლში და ტირძნისის სკოლაში დამტვრეულ კარ-ფანჯრის ღირებულებაც სოფლისთვის მოუხვევიათ თავზე ასე თხუთმეტ თუმნამდისინ. იმავე კომისიას გლეხკაცობისათვის გამოუცხადებია: თუ დანიშნულ ვადზე არ გაუსწორდებით მემამულეს, მამასახლის, „აცენკის“ ფულს და სხვა გადასახადებს არ გაისტუმრებთ, ეგზეკუციას ჩაგიყენებთო. შეშინებული გლეხკაცობა ჰყიდის ყოველაფერს ნახევარფასათ და სცდილობს დანიშნულ ვადას არ გადააცილოს აქვე,

ფელეტონი

რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა

კ. კაუცკისა.
(თარგმანი)

ახალი წლის დასაწყისისთანავე რუსეთიდან სამწუხარო ამბები მოდის—თითქო რევოლიუცია დამარცხებულიყოს და უკანასკნელ სასიკვდილო ქამში იმყოფებოდეს. არა თუ რეაქციონერები, ლიბერალებიც კი არ მალავენ თავის სიხარულს და კმაყოფილებას. მართალია, რუსეთში ყოველივე ის, რასაც ისინი თავიანთ წმინდა იდეალებათ სახავენ, სისხლის ზღვაშია ჩაძირული, მაგრამ ეს ნაკლებათ აფიქრიანებს მათ. ოღონდ კუპონი გადარჩეს და სხვა არა უნდათ რა. მაგრამ რაც უნდა რეაქცია ბარბაროსობდეს და მრისხანებდეს, რევოლიუცია მაინც არ მომკვდარა! ის კეთილშობილური სიმღერები, რომელთაც 1851 წ. ფრეილიგრატი უმღერდა 1848 წელს დამარხულ-დასამარებულ და შემდეგ ისევ მკვდრეთით აღმდგარ რევოლიუციას, ეს სიმღერები თანამედროვე რუსეთის რევოლიუციის უფრო შეეფერება. მოსკოვის დეკემბრის აჯანყებას ადარებენ პარიჟის ივნისის აჯანყებას. მართლაც ბევრში გავს ერთმანეთს ეს ორი აჯანყება. როგორც ივნისში 1848 წელს პარიჟში, ისე აქ მოსკოვში მთავრობამ ძალით გამოიწვია პროლეტარიატის შეიარაღებული აჯანყება, რათა სისხლის მორევში დაეხრჩო მუშათა კლასი, სანამ უკანასკნელი მოასწრებდა შეერთება-შეკავშირებას, სანამ შემოიკრებდა ძალღონეს და შესაფერ წინააღმდეგობას გაუწევდა მთავრობას. როგორც მაშინ პარიჟში, ისე ეხლა მოსკოვში პროლეტარიატი განსაცვიფრებელ თავგანწირულებით იბრძოდა და გააფთრებული მხედრობა საშინელი სისხლ-მოწყურებით მძვინვარებდა. იქაც და აქაც ერთ ქალაქში რევოლიუციის დამარცხებამ გამოიწვია მთელ სახელმწიფოში კონტრ-რევოლიუციის გამარჯვება, აი ამით თავდება ამ ორ აჯანყებათა შორის მზგავსება. საფრანგეთის 1848 წ. რევოლიუცია უმთავრესათ პარიჟის რევოლიუცია იყო. მთელ საფრანგეთს მხოლოდ ეს ქალაქი ბატონობდა, მარტო ამ ქალაქს ყავდა შესამჩნევი რევოლიუციური პროლეტარიატი. არ არის ისეთი ქვეყანა, რუსეთზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სადაც ერთ ქალაქს ისეთი მნიშვნელობა ქონოდა, როგორც პარიჟს გასულ საუკუნის ნახევარში საფრანგეთში. მოსკოვის პროლეტარიატი დამარცხდა, მაგრამ ამით სრულებითაც არ დამარცხებულა მთელი რუსეთის პროლეტარიატი. პროლეტარიატის სიმაგრეები პეტერბურგში, ადესაში, კიევში, ვარშავაში, ლოძში და სხვაგან ჯერ კიდევ ძლიერ მტკიცეთ არის. მართალია რუსეთის პროლეტარიატი ეხლა ძლიერ მოქანცულია იმ გაცხარებული ბრძოლისაგან, რომელიც მთელი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ის მოიქანცა, ხოლო სიმხნევე ოდნავაც არ დაუკარგავს, ის ძალას იკრებს, რომ ხელახლა შეუდგეს თავისუფლებისათვის ბრძოლას. გარდა ამისა ფინლიანდია თავისუფალია, ხოლო ბალტის მხარეში, კავკასიაში და ციმბირში ჯერ ისევ აჯანყების ალი ბრიალებს. *)

მაგრამ არის კიდევ უფრო ღრმა განსხვავება თანამედროვე რუსეთის მდგომარეობასა და იმ მდგომარეობას შორის, რომელიც გამეფდა ივნისის აჯანყების შემდეგ. საქმე იმაშია, რომ იქ გლეხობა რეაქციას მემხრო. გლეხობას საფრანგეთის 1789 წ. დიდმა რევოლიუციამ მიანიჭა ის, რისთვისაც იბრძოდა. გლეხებს ეგონათ, რომ 1848 წ. რევოლიუცია მეტს აღარაფერს მისცემდა მათ, ხოლო პრაქტიკულათ ამ რევოლიუციამ გლეხებს მხოლოდ გადასახადები მოუმატა. ამიერიდან გლეხებისათვის რევოლიუცია მეტი ბარგი გახდა: ის მხოლოდ ურღვევდა მათ მყუდრო და მშვიდობიან ცხოვრებას. რაც უფრო მალე გათავდება რევოლიუცია, მით უკეთესი. თვით ის პირი, რომელიც კონტრ-რევოლიუციას სულს უდგამდა, უბრალო რეაქციონერი, იუნკერი კი არა, ნაპოლეონი იყო. მის გარშემო კიდევ ბრწყინავდა საფრანგეთის პირველ იმპერიის სხივი. გლეხებს ეგონათ, რომ მათ ნაპოლეონი დაუბრუნებდა იმ დროს, როცა საფრანგეთი დიდი და მძლავრი იყო, როდესაც ფრანგ გლეხთა ჯარი ნაპოლეონ I მეთაურობით ბატონობდა მთელ ქვეყანაზე.

სრულიად სხვა მდგომარეობაშია ახლა რუსეთის გლეხობა. რუსეთის გლეხის მდგომარეობა მოგვაგონებს უფრო 1789 წლის დიდ რევოლიუციამდე საფრანგეთის გლეხთა მდგომარეობას. რუსეთის გლეხობის მდგომარეობა აუტანელია, მას მხოლოდ რევოლიუციით შეუძლია თავი დააღწიოს შავბნელით სავსე მდგომარეობას. მას შეუძლია მხოლოდ სამეურნეო ურთიერთობაში ღრმა ცვლილებათა მოხდენით და მიწების დაყოფით იხსნას თავი. რევოლიუციის საშუალებით მას ყველაფრის მოპოება შეუძლია. კონტრ-რევოლიუცია პირიქით მის მოწინააღმდეგეთა მხარეზეა, ის არ აძლევს გლეხებს მემამულეთა მიწების მისაკუთრების ნებას. ის ახრჩობს მას იარაღით და სხვადასხვა სასიკვდილო საშუალებებით. ამას გარდა ვინ არის კონტრ-რევოლიუციის მატარებელი? ეს ყველა იგივე სახელ-გატეხილი პირებია, რომელთაც თავს ლაფი დაისხეს, სახელი შეირცხვინეს მანჯურიის ველებზე და რომელნიც ამ შერცხვენისაგან ვერასოდეს ვერ გაიწმინდებიან. რუსეთის გლეხი ახლა რევოლიუციურ ელემენტს წარმოადგენს. ამ მხრით ის არ შეგვიძლია შევადაროთ 1848 წ. საფრანგეთის გლეხებს. სადაც კი ჩაღდება შეიარაღებული აჯანყება, ლიფლიანდიაში იქნება ის თუ კავკასიაში, იქ ჩვენ უსათუოდ გლეხების აჯანყებასაც ვხედავთ. საფრანგეთის გლეხები 1848 წლის კონტრ-რევოლიუციას უჭერდა მხარს, რითაც კი შეეძლო, მაგ. საარჩევნო ხმებით, ხოლო რუსეთის გლეხები კი აიძულებენ მთავრობას გზავნოს მათ წინააღმდეგ ურიცხვი ჯარი, რომ ჩააქროს გლეხთა მოძრაობა, მთავრობა ხმარობს ყოველგვარ სასტიკ ზომებს: წვავს მთელ სოფლებს, არღვევს სასოფლო მეურნეობას, მთელ მხარეებში ანადგურებს ყველაფერს, აი რას შვრება ახლა რუსეთის მთავრობის მხედრობა. ის აოხრებს მთელ ქვეყანას, სწორეთ ისე, როგორც გერმანია იყო აოხრებული „ოცდა ათი წლის ომიანობის“ დროს; კულტურულ ევროპის „ბირჟის ლომები“ კი ამ ამ აოხრებით დიდათ კმაყოფილნი არიან, მათის აზრით ეს აოხრება იმის თავდებია, რომ თვითმპყრობელის დაპირებანი შესრულებულ იქნება. შეიძლება პირველათ ამ დაწვა-განადგურებამ და ამოხოცამ გლეხები შეაშინოს და დროებით დაამშვიდოს; მაგრამ ეს კიდევ გააძლიერებს სილატაკეს, რაც შემდეგ გამოიწვევს მათ გაბრაზებას და მღელვარებას. რა უნდა ქნან გადამწვარ-გადაბუგულ სოფლების მცხოვრებლებმა? ჩვენ წელან მოვიხსენიეთ „ოცდა ათი წლის ომი“, სწორეთ ეს ომისაგან გამოწვეული განადგურება-აკლება ბადებდა იმ ადამიანებს, რომელთათვისაც არა თუ სასურველი, არამედ აუცილებლათ საჭირო იყო ამ ომის მედგრათ განგრძობა. მაშ რაღა უნდა ექნათ გლეხებს, როდესაც მათ ერეკებოდენ თავიანთ სახლ-კარიდან? ამ ნაირათ კონტრ-რევოლიუციის განმანადგურებელი ძალა ბადებს ახალ-ახალ ძალებს, რომელნიც იძულებულნი არიან ომი გამოუცხადონ არსებულ წეს-წყობილებას, რადგან ეს წეს-წყობილება უშხამავს მათ არსებობას, რა საშვალებასაც უნდა მიმართონ ამ ძალებმა, ერთი აშკარაა: ისინი ეცდებიან; რომ ქვეყანა არ დაწყნარდეს, ღელავდეს და მზათ არიან ისარგებლონ ყოველგვარი აჯანყებით. სრულიად შეუძლებელია, რომ ეს ხალხის ძალები მრეწველობამ დააკმაყოფილოს, რომ მას შეეძლოს ამ ხალხით, როგორც დაქირავებულ მუშებით, სარგებლობა, ვინაიდან მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან, რასაკვირველია მრეწველობაც საშინლათ დაეცა და ის ვერას გზით ველარ გაიმართება წელში, სანამ არ მოისპობა კონტრ-რევოლიუციის თეთრი ტერრორი.

კიდევ ერთი შესანიშნავი განსხვავებაა ივნისის აჯანყების შემდეგ გამეფებულ მდგომარეობასა და ახლანდელ მდგომარეობას შორის.

1848 წლის რევოლიუცია გამოიწვია სამრეწველო კრიზისმა 1847 წლის შიმშილის შემდეგ. რაკი რევოლიუცია გათავდა, კრიზისი შემცირდა, მრეწველობამ განვითარება იწყო, რუსეთის მთავრობის თანამედროვე თეთრი ტერრორი პირიქით ზრდის ეკონომიურ კრიზისს, რომელიც სულს უხუთავს მთელ ქვეყანას რამდენიმე წლის განმავლობაში. ამას უკანასკნელი წლის

---

*) ეს წერილი ადრე დაწერილია.

რომ ცხინვალიდან კაზაკები თურმე სთ- მა დარწიან და გლეხკაცობას ძარცვავენ ს. ტირძნისში, მერეთში, ვანათში, ერგ- დამენისში, და სხვაგან კაზაკები შესჩრიან ღამე ოჯახობას და რაც კი უშოვნიათ სუ- ყველაფერი გაუტაციათ. ვანათში და ტირძნი- ში უფრო დიდი უბედურება დაუტრიალე- ქლები გაუპატიურებიათ. კაცები ცემა- სახლებიდან გამოურეკიათ და თითონ ქლებთან დარჩენილან... დაწიოკებული, ოფილი გლეხკაცობა მიდის ცხინვალში ის საჩივლელათ, მაგრამ ეხლა ჩვენს ში ქვეყანაში განა სამართალი მოიპოვება? ბოლო დროს ჯაშუშობას ბევრი მოტრ- ფიალე გამოსჩენია როგორც ცხინვალში, ისე ამყოფ სოფლებში, ზოგს მათგანს, რო- მომეტებული ნიჭი და უნარი გამოუჩე- ხოვნიკობაც" მიუღია და ბოქაულის ტა- ში გამოწყობილი ჭორტფელით ხელში ება, როგორც, მაგ. აისორი დაუთა. ეს ონი უკვე ოფიციალური ჯაშუშია თავის ადარა მალავს და დაუდგრომელათაც მუ- . რა საიმედო პირებს აწერინებს, ხალხს ნებს (ს. ხვითში დასხოცინა ესიაშვილი ვეჭაშვილი), წინეთ დაუთა მილიციონერი წი- რაზმში ყოფილა და კარგათ, ცოდნია სად არალი" ყოფილა დამალული და მთავრობისა- უკვე ჩაუბარებია. დაუთას წყალობით ასთან რაღაც საიდუმლო საქმეები აღ- ნიათ აგრეთვე: კოტე გირკაშვილს, ნეთა- ცერაძეს და ჭოლოშა ივანოვს. ული თურმე ხშირათ დაიარებიან, ჩუმად და როგორც საიდუმლო საქმეებში აძლევენ.

ბ—კ—ი

ნაჭრობით მუშაობა და მისი მავნებლობა

ციალდემოკრატიულ პარტიის პროგრამა-მინი- ში ნაჭრობით მუშაობას თვალსაჩინო ადგილი ავს; დასავლეთ ევროპაში, ყველგან, სადაც კი ათა ორგანიზაციები და კავშირები მაგრაია, ყველგან მოსპეს ნაჭრობით მუშაობა. ხოლო ჩამორჩენილ ქვეყნებში კი, როგორც მაგ. რუ- სადაც ძველი დროის ამქრული წარმოება ისევ ფესვებ გადგმულია, ასეთის წარმოების რეაქციონური მხარეც ძალაშია. (მაგ. ნაჭ- მუშაობა, გრძელი სამუშაო დღე, შეგირდობა სხვ.), აქ ბრძოლაც ამნაირი წესების წინააღმ- ძალიან სუსტია. ამის ერთი უმთავრესი მიზეზ- თაგანი ის არის, რომ მუშებს არ ესმით ამ წესების მავნებლობა, და ამასთან არ აქვთ არც მჭიდრო პროფესიონალური კავშირები, რომლების საშუა- ლებით შეეძლებოდათ თანდათან გაეუმჯობესე- ბინათ თავიანთ ნივთიერი მდგომარეობა; ჩვენ აქ ვეცდებით გავარკვიოთ, რაში მდგომარეობს ნაჭ- რით მუშაობის მავნებლობა.

ხაზეინები სარგებლობენ იმით, რომ ბლომათ რიან სამუშაოს მაძებარი ხელოსნები და ასეთ ეშ- მაკობას ხმარობენ: ეუბნებიან ხელოსანს—აიღე გა- მოჭრებლათ მთლათ ერთი ნაჭერი და როცა გაა- თავებ, იმის საღირალ ფასს მეც მთლათ მოგცემო. რო გაათავებ, მით უკეთესი შენთვის: მეტ ფულს იღებ, რადგან უფრო ბევრ ნაჭრებს გააკეთებო, ხოლო თუ იზარმაცე, და დაიგვიანე, შენვე წააგებო. ხელოსანს ეს აზრი ჭკუაში უჯდება, იჯე- რებს და იღებს სამუშაოს ნაჭრობით. მერე რა სდევს? მუშა დილიდან საღამომდის დაუსვენრათ მუშაობს, ხშირათ ღამითაც, რომ რაც შეიძლება ადრე გაათავოს მის მიერ აღებული სამუშაო.

რა შედეგი მოსდევს ამას მუშისათვის? იგი მეტის-მეტათ იქანცება უძილობისა და დაუსვენრობისაგან, ამის გამო მარჯვეთ და რიგიანათ ველარ აკეთებს სამუშაოს და ხაზეინიც ამის დაგვარათ უკლებს ფასს, სულ სხვაა, როცა მუშა განსაზღვრულ დროს მუშაობს ყოველ დღე. მაშინ მას მეტი დრო რჩება დასასვენებლათ და მეორე მხრით ხაზეინი ერთხელვე განსაზღვრულ ქირას ადვილათ ვერ დაუკლებს.

ეხლა გადავიდეთ ნაჭრით მუშაობის სხვა ცუდ მხარეებზე: ნაჭრით მომუშავე მეტათ უზრუნველყოფილია შიმშილისაგან. მაგალითი, ვთქვათ მან სამუშაო ვერ იშოვა ან ავათ გახდა, მაშინ ხომ ვერც ფულს აიღებს. ხოლო როცა მუშა თვიურათ არის, მაშინ ის, გინდ ქონდეს ხაზეინს სამუშაო გინდ არა, მუდამ იღებს ქირას.

თუ როგორ მოქმედობს მუშაზე ნაჭრით მუშაობა ფიზიკური და გონებრივი მხრით, ეს სულ ადვილი დასანახავია, მუდმივმა დაუსვენარმა მუშაობამ და უძილობამ, ადამიანი, რაც უნდა ჯანმრთელი იყოს არ შეიძლება არ გასტეხოს. ამიტომაც ძალიან ხშირია ნაჭრით მომუშავეთა შორის ავადმყოფობა და სიკვდილი.

რადგან მათ თავისუფალი დრო არ რჩებათ, რასაკვირველია ისინი ვერც გონებრივ განვითარებაზე იზრუნებენ და მაშასადამე ვერც თავიანთი ინტერესების შეგნებას მოახერხებენ, რაც მათთვის მეტათ საზარალოა, ხაზეინებისთვის კი მეტათ სასარგებლო, რადგან ინტერესების შეგნება მათ ასწავლის ბრძოლას ხაზეინების წინააღმდეგ თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

დასასრულ, როდესაც მუშა ბევრ სამუშაოს იღებს ნაღდათ, ამით ის ცუდ სამსახურს უწევს თავის უადგილოთ მყოფ ამხანაგებს, რომლებსაც, ერთი კაცი რომ რამდენიმე კაცის სამუშაოს არ აკეთებდეს, შეეძლებოდათ თავისთვისაც ეშოვათ სამუშაო. ახლა კი ნაჭრობით მუშაობის მეოხებით ბევრი მუშები უსაქმოთ რჩებიან და ესენი, შიმშილით რომ არ დაიხოცონ, იძულებული ხდებიან შეეცილონ სამუშაოზე უკვე მომუშავეთ, და ოღონდ კი საქმე იშოვონ, ყოველ გვარ პირობებზე თანხმდებიან ხაზეინებს, და, სხვათაშორის ძირს სწევენ ხელფასს. ხაზეინებიც სარგებლობენ მუშათა ასეთი კონკურენციით და ახერხებენ მათგან მეტი მუქთი სისხლის გამოწოვას.

ასე დამღუპველია მუშათათვის ნაჭრობით მუშაობა და, მაშასადამე, მათი ვალია მედგრათ ებრძოდენ, ხაზეინებს ასეთი მუშაობის მოსასპობათ და თვიური მუშაობის შემოსაღებათ.

დ.

მუშათა ცხოვრებიდან

ღია წერილი ბათუმის სომეხ მუშათა მიმართ. სომხურ გაზ. „კიანქ"-ში დაბეჭდილია მუშა თათოსას წერილი, რომელიც მოგვყავს აქ ცოტა შემოკლებით:

ამხანაგებო! ბათუმის ფაბრიკები და ზავოდები, რომლებიც აქამდე დაკეტილი იყო, ამ ჟამათ ისევ იღება. დღემდი დაფანტულ ულუკმა-პუროთ დარჩენილ მუშებს ეძახიან სამუშაოთ, მაგრამ რა პირობებით იღებენ მუშებს, აი ეს განსაკუთრებით საინტერესოა. პირობები შემდეგია: ფაბრიკის პატრონები ამცირებენ მუშათა რიცხვს და მიღებულ მუშებს კი აყენებენ ძველებურ მდგომარეობაში, რომლის წინააღმდეგაც მრავალი წელიწადი ვიბრძოდით და კიდეც უნდა ვიბრძოლოთ ბოლომდის. ბრძოლით ჩვენ შოვიპოვეთ, მაგალ., 8 საათის სამუშაო დღე, ჯამაგირის მომატება სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვა... ამ ჟამათ კი ყოველივე ეს გვესპობა და სხვათა შორის აწესებენ 9 საათის სამუშაო დღეს.

გარდა ამისა, ამხანაგებო! განზრახვა აქვთ **ქართველი** მუშის მაგივრათ ამუშაონ თათარი და სომეხი მუშა. გაფრთხილდით, ამხანაგებო, ასეთ ვერაგულ პირობებზე, არამც და არამც არ დაკმაყოფილდეთ, რადგანაც ამათ ადვილათ შესაძლებელია ერთა შუა შუღლის ჩამოგდება, რაც გასახარელი იქნება მუშათა ყველა მტერ-მოძულეთათვის და რაც ჩვენ, მუშა ხალხს საძაგელ მდგომარეობაში ჩაგვაგდებს.

ამხანაგებო! ნუ თუ ცხოვრების მწარე გამოცდილებამ არ უნდა შეგვაგნებინოს, რომ ჩვენ მუშა ხალხს ჩვენს გარდა სხვა არვინ არა გვყავს ნამდვილი მოკეთე. ნუ თუ ვერ უნდა შევიგნოთ, რომ კაპიტალისტები, ეს სისხლის მწოვარა წურბელები, ჩვენი ძარღვის სისხლის გამწოვნელნი არიან. გარდა ამისა ნუ თუ არ უნდა ვიგრძნოთ, რომ ყველა მუქთა ხორა კლასი ჩვენ კისერზე გვწევს. დრო არის ამხანაგებო, გამოვიღვიძოთ, გამოვფხიზლდეთ და შევიგნოთ ეს სავსებით, ხელი ხელს მივცეთ ყველა დაჩაგრულმა ხალხმა რუსი იქნება ეს ქართველი, სომეხი, თათარი, ებრაელი თუ სხვა და შეერთებული ძალით უმოწყალო ბრძოლა გამოვუცხადოთ მათ, განვაშოროთ ორ ნიღაბიანი მეგობარნი, რომელნიც გვასწავლიან მხოლოდ თხოვნას... დავფიქრდეთ, გამოვფხიზლდეთ, ამხანაგებო! გავილაშქროთ კაპიტალისტებისაგან დაგებულ მახის წინააღმდეგ, ეხლავ, როდესაც პირობები ნაკლებათ გვიწყობს ხელს და როდესაც ჩვენ თითქო დამარცხებული ვართ.

ქუთაისი. 19 მარტს ზაქრო ბუტულაშვილის სავაჭროში ასეთი სურათი დავინახე: ბუტულაშვილს აედო ქაღალდში გახვეული ფართალი და თავის ნოქარს თავპირში სცემდა და თან ხან რუსულათ და ხან ქართულათ უყვიროდა: „რატომ მაგრათ არ შეკარი, რომ არ გახსნილიყო და ამ მეტათ ძვირფას მეგობართან სარცხვილი რათ მაჭამეო." ემწვილი კაცი სირცხვილისაგან ისე გაშტერებულიყო, რომ კრინტიც ვერ დაეძრა. როდის მოიშლიან ეს ხაზეინები ასეთ ველურ ქცევას?

სანი.

ლიმონათის ქარხანა „ვასტოკ". ამ ქარხნის მუშა, რომელიც დროებით სოფელში იყო წასული, ხაზეინმა თავის ადგილზე აღარ მიიღო. მაშინ მუშები მივიდენ ხაზეინთან და მოსთხოვეს, თუ ამხანაგი არ იქნა მიღებული ყველა ხელს ავიღებთ სამუშაოზეო. ბატონმა ცბიერათ უპასუხა, ვისაც არ გნებავთ, მიბრძანდით, გზა დიდი არის მუშათა ბიურო დიდიხანია აღარ არსებობს და მე თქვენი გაფიცვის არ მეშინიაო. მუშებს შეეშინდათ დათხოვნის, ამასთანავე მოუმზადებელი იყვნენ და იძულებული გახდენ მუშაობა დაეწყოთ.

ემზადეთ ამხანაგებო! არ შეარჩინოთ ხაზეინს ასე აბუჩათ მუშების აგდება! ჩვენი კავშირი არ მოისპობა, ხიშტი და მათრახი მას ვერ გააქრობენ.

მ. ქ. მუშა.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის განვითარება

III

(დასასრული იხ. № 8)

როგორც მეორე წერილის დასასრულს შევნიშნეთ ბურჟუაზიულ იდეოლოგების თანამედროვე „გადამახინჯებული" სოციალური დეტერმინიზმი სულ მთლათ უარჰყოფდა მარქსის ისტორიულ მატერიალიზმს. ბევრმა გამოჩენილმა ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა ეს ცოდნის საუნჯე თავიანთ გონების სალაროთ გაიხადეს. ამგვარი მიმართულება ყველაზე ნათლათ და ნიჭიერათ იხატება ბეერ-ჰოფმანის ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში „გრაფენ ვონ შაროლეს"-ში. ეს ნაწარმოები თითქმის ყველა ბურჟუაზიული ხელოვნების კრიტიკოსებისაგან ერთ უნიჭიერეს ნაწარმოებათ არის აღიარებული. შიგ ნათლათ და აშკარათ არის გატარებული ბურჟუაზიის მთელი სულის კვეთება, მისი მისტიკურ-დეტერმინისტული მსოფლიო შეხედულება, რომელიც სოციალურ აუცილებლობას ერთ რაღაცა აუცდენელ ბედის წერათ სახავს, რომლის საიდუმლო განგებას ვერ წაუვა ვერც ერთი სულდგმული. ბეერ-ჰოფმანის ნაწარმოებში გამოყვანილია ერთი ცნობილი მომღერალი არტისტი ქალი, რომელიც გაციების მიზეზით ჰკარგავს თავის სიმდიდრეს—ხმას, და შემდეგ მაჭანკლობას იხდის თავის პროფესიათ, ახალგაზდა ქალი გრძნობების სითამამემ გარყვნილებამდის მიიყვანა, სიყვარულით გატაცებული გმირი და ბოლოს სასოწარკვეთილების წყვდიადში ვარდება. ავტორი თავის თხზულების მოქმედ პირებს თავიანთ საქციელისთვის პასუხის მგებელს არ ხდის, ვინაიდან, მისი აზრით, იმათ ჩაიდინეს ის, რაც უნდა ჩაედინათ, გადახდათ ის, რაც უნდა გადახდოდათ. მერე ვინ და სად არის ეს ადამიანის ბედ-იღბლის გადამწყვეტელი, მოუნახველი, ძალა? ავტორს ეს რაღაც მისტიკურათ, და იმავე დროს აუცილებლობათ წარმოუდგენია. ასე, ბურჟუაზიულ დეტერმინიზმს მთელი თავის კლასიკურ ფორმით ვხედავთ ბეერ-ჰოფმანის ნაწარმოებში! მართალია, ბურჟუაზიულ იდეოლოგებმა აუცილებლობის პრინციპი თვით სოციალურ აუცილებლობის პრინციპი მარქსიზმიდან გადმოიღეს, მაინც ამათთვის საზოგადოებრივ ცხოვრების ამმოძრავებელი ძალა ანუ პოლიტიკურ ეკონომიის ენით რომ ვთქვათ კაპიტალისტურ წარმოების წესის განვითარების კანონები სულ მთლათ გაუგებარი და შეუთვისებელი დარჩა. სოციალურ აუცილებლობის პრინციპით ბრმათ გატაცებული ბურჟუაზიული იდეოლოგები უკიდურებაში ჩაცვივდენ: თითეულ მოქმედების მიზეზი ინდივიდიუმის გარეშე დასახეს. ეს თავისთავათ ცხადია, რომ სოციალური ანუ სწორეთ რომ ვთქვათ, დიალექტური დეტერმინიზმი იმას არ უარჰყოფს, რომ თითეულ კერძო ადამიანის მოქმედება ინდივიდუალურია, ე. ი. ყოველი თითეული ინდივიდიუმი თავის ნების და განზრახვისამებრ მოქმედებს. მაგრამ თვით ეს ინდივიდიუმის, ნება განზრახვით მოქმედება საერთო სოციალურ პირობებით არის გამოწვეული. პროლეტარიატის იდეოლოგებს ახალი იდეოლოგი მოევლინათ, სახელდობრ ედუარდ ბერნშტეინი, რომელიც მთელი თავის მეცნიერულ სიძლიერით ამტკიცებს, რომ ეკონომიურ მიზეზებთან ერთათ ინტელექტუალურ მიზეზებსაც დიდი ყურადღება უნდა მიექცესო. ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ ყველა ინდივიდუალური არის საზოგადოებრივი, რომ ყოველი ინდივიდუალური გრძნობები როგორც სიყვარული, სიძულვილი, შიში, ჯავრი სოციალური აფექტებია; ყოველი ინდივიდუალური, გამომხატველია არსებულისა, ე. ი. საზოგადოებრივ დამოკიდებულებისა, საზოგადოებრივ ურთიერთობისა.

ამნაირათ როგორც მოკლე განხილვიდან დავინახეთ, თანამედროვე, ბურჟუაზიამ არსებულ ეკონომიურ პირობებში მისტიკ დეტერმინისტული-იდეოლოგია შეიმუშავა, თავის სასოწარკვეთილ სულიერ მდგომარეობის სანუგეშებლათ. ის, საცა მისტიციზმი არ არის გამოწვეული განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოების პირობებით, იქ იგი შედეგია არსებულ კულტურულ ურთიერთობათა. მაგ., ლ. ტოლსტოის მისტიციზმი რუსის, გაქრობის გზაზე შემდგარ, წვრილ გლეხობის იდეოლოგიაა. თვით წმინდა ფილოსოფიამაც მეტაფიზიკურმა მოტივებმა თავი იჩინეს, თვით დიდებულ კანტის ფილოსოფიაშიაც დიდი ალაგი უჭირავს მეტაფიზიკას. ყველა ამგვარი მიმართულება, მეტაფიზიკიურ - დეტერმინისტული, იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ბურჟუაზია ფაქტიურათ უკვე აქედანვე ბურჟუაზიულ წეს-წყობილების მომავალ განადგურების გლოვას შეუდგა.

თეატრი

საბრალო ჩვენი არტისტები! სადაც უნდა ითამაშონ და როგორც უნდა ითამაშონ,—საზოგადოება მაინც არ წყალობს მათ. სულ ქვეშ რომ თქვას კაცმა, ეს მოვლენა გასამართლებელი ხშირათ არ არის. ჩვენი არტისტები ზოგჯერ კარგათ თამაშობენ და, თუმცა იშვიათათ კი, საამდროვო პიესებსაც დგამენ.

გუშინ დადგმულ პიესას („კრეჩინსკის ქორწილი") საამდროვო და სადღეისო არა სცხია-რა, მარა ბ. ვლად. ალექსი-მესხიშვილი ისე საუცხოვოთ თამაშობს რასპლიუევის როლს, რომ ჩვენი ჯიბესქელაძეები, როგორც ესტეტიკის თაყვანისმცემელნი, მარტო მის საყურებლათ უნდა წასულიყვნენ თეატრში.

კომედიაში უმთავრესი მომქმედი პირები რასპლიუევი და კრეჩინსკი არიან. პირველი როლი, როგორც ზევითაც ვთქვით, საუცხოვოთ შეასრულა ბ. ალექსი-მესხიშვილმა, ხოლო მეორე როლში კარგი იყო ბ. ვასო აბაშიძე. ქალები სუსტობდენ.

რუსეთი

ტუსაღების წამება ვარშავაში. ამის წინეთ ჩვენ გაზეთში მოყვანილი იყო ცნობა იმას შესახებ, თუ როგორ აწამეს ვარშავის საიდუმლო პოლიციაში პოლიტიკური ტუსაღები. ნათქვამი გვქონდა აგრეთვე, რომ ამის მეთაური აქური

მოუსავლობაც მიემატა, რომლის შედეგი რამდენიმე თვის შემდეგ იჩენს თავს. აჯანყების ჩაქრობა სპობს ანადგურებს ურიცხვ წარმოების საშუალებებს, ის უსახლ-კაროთ და ულუკმაპუროთ ტოვებს ხალხს, ამასთანავე იმის ჩაქრობა ძლიერ ძვირათ ჯდება. შინაურ მტრებთან ბრძოლა ისევე ძვირი ჯდება, როგორც გარეშე მტრებთან. ჯერ მანჯურიამ დააცალიერა სახელმწიფო ხაზინა, ხოლო ახლა საჭიროა ახალი სახსარი საკუთარი ქვეყნის „დასაპყრობათ" და მთელი ხალხის დასამორჩილებლათ. თვითმპყრობელობა ყოველთვის ჯარსა და ჩინოვნიკებზე დამოკიდებული, მან მუდამ უნდა იყიდოს თავისი მოსამსახურეები დიდ-დიდი ჯამაგირებით და სხვა და სხვა საჩუქრებით; და აი ამ დროს უცებ საგარეო სესხის წყარო დაშრება. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთი მშვიდობიან დროსაც მხოლოდ ასეთი სესხის საშუალებებით ახწევდა გაკოტრებას თავს. თვითმპყრობელობა თავის მდგომარეობის გასამტკიცებლათ იძულებულია შესწყვიტოს ყველა ის ხარჯები, რომელიც პირდაპირ მის არსებობის დღეგრძელობას არ ემსახურება. ის იძულებულია ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ განვითარებისათვის ფულის ხარჯვა შეაჩეროს, როგორც არის მაგ., რკინის გზის გაყვანა და არხების გათხრა. მაგრამ რუსეთში მსხვილ მრეწველობას უმთავრეს მუშტრათ მხოლოდ სახელმწიფო ჰყავს. რუსეთის მსხვილი წარმოება უმთავრესათ სახელმწიფოს უმზადებს საქონელს; სახელმწიფო თუ არ ყიდულობს, მრეწველობაც ჩერდება.

მიუხედავათ ამისა ეს „ეკონომია" არ არის საკმარისი ფინანსიური გაკოტრების ასაცდენათ. ნდობის ბილეთების გამოცემა ულებს მთავრობას გამოუშვას ქაღალდის ფული, რომელიც არ დაიფარება ოქროთი. რა თქმა უნდა ეს ფულებით მისცემს მთავრობას საარსებო საშუალებას, მაგრამ ეს მოშლის სახელმწიფოს მთელ ფინანსიურ სისტემას. ეს თამაში ძალიან სახიფათოა ახლა მთავრობისათვის. ორი თვის შემდეგ დადგება სავაჭრო ხელ-შეკრულებათა რეჟიმი. საზოგადოთ ეს სავაჭრო ხელშეკრულებანი ხელს შეუშლიან იმ სახელმწიფოთა ეკონომიურ ცხოვრებას, რომელთაც მასში მონაწილეობა მიიღეს. ხოლო რაც შეეხება ისეთ დასუსტებულ ორგანიზმს, როგორც დღეს რუსეთია, ეს მისთვის უფრო საშიშია, ვინემ სხვა რომელიმე სახელმწიფოსათვის. შესაძლებელია ისიც, რომ ამ სავაჭრო ხელშეკრულებამ გამოიწვიოს საყოველთაო ეკონომიური კრიზისი. უკანასკნელ წლებში ეკონომიური განვითარება დაეცა, ხოლო დასავლეთ ევროპაში-კი ეს განვითარება მატულობდა, რაც შეეხება ამერიკას, იქ ხალხი პირდაპირ მდიდრდებოდა. მაგრამ თანდათან აშკარავდება იმის ნიშნები, რომ ეკონომიური კრიზისი ახლოვდება, რომ კაპიტალისტური წარმოების თვითეულ ბრწყინვალე ხანას ბოლო ელება. ახალ სავაჭრო ხელშეკრულებებს შეუძლია გამოიწვიოს ისეთი განადგურება, რომ „აყვავებული ხანის" გემი, რომელიც ისედაც ტორტმანობს და ირყევა, დაილუპება სრულიად, საქმე თუ მსოფლიო ეკონომიურ კრიზისამდე მივიდა, მაშინ რუსეთის კრიზისი, რომელიც ზემო ნაჩვენებ მიზეზების გამო აუცილებელია, უფრო გაძლიერდება. ჩვენ ვხედავთ, რომ რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება რეაქციის საშინელი ტერორი, მით უფრო საეჭვო შეიქნება მთელი რუსეთის საზოგადოების ეკონომიური მდგომარეობა, მით უფრო გაძლიერდება ყველა კლასების უკმაყოფილება ძველი წესწყობილების წინააღმდეგ. ყოველი ახალი ნაბიჯი ამ წყობილების სამარცხვინო ულლის მოსაშორებლათ თანაგრძნობას და დახმარებას გამოიწვევს ყველა საზოგადოებრივ ელემენტებში, გარდა ხულიგანებისა.

იმ გვარი მდგომარეობაა, რომ თვითმპყრობელობასთან ყოველ მედგარ შებრძოლების დამარცხება შეუძლებელი იქნება. ხოლო შებრძოლება რომ მართლა მოხდეს, ამაზე რუსეთის პროლეტარიატი იზრუნებს, ის პროლეტარიატი, რომელმაც მთელ კაცობრიობას უჩვენა თავისი სიგმირე და თავგანწირული ბრძოლა. საკმაოა საქმე შეიარაღებულ აჯანყებამდე მივიდეს, როგორც ეს ოქტომბერში იყო, რევოლიუციური ჯარი საყოველთაო გაფიცვას არ დასჯერდება. აი აქაც ვხედავთ ღრმა განსხვავებას პარიჟის იენისის და მოსკოვის დეკემბრის ბრძოლას შორის. ამ ორივე ალაგას ბარიკადებით იყო ომი, მაგრამ მაშინ როდესაც პარიჟში უკანასკნელი აქტი მოხდა,—გაკოტრდა ძველი ბარიკადების ტაქტიკა, მოსკოვში ჩვენ ვხედავთ ახალი ტაქტიკის აღორძინებას. ამ შემთხვევაში ჩვენ უნდა უარვყოთ ფრიდრიხ ენგელსის აზრი, ვითომც ბარიკადებით ბრძოლის დრო სამუდამოთ წასულიყოს. ასეთი აზრი გამოთქვა ენგელსმა მარქსის ბროშიურის („კლასთა ბრძოლა საფრანგეთში") წინასიტყვაობაში. აქ სიმართლე მხოლოდ ისაა, რომ ძველებურათ ბარიკადებით ბრძოლის ტაქტიკა მართლა წავიდა. ეს დაამტკიცა მოსკოვის ბრძოლამ, სადაც ერთი მუჭა მეამბოხენი მთელი ორი კვირის განმავლობაში გაუმაგრდენ თანამედროვე არტილერიის ყველა საშუალებებით აღჭურვილ მტერს. ცხადია, მოსკოვში მანამდიც არსებობდა ბევრი მიზეზები, რომელთა მეოხებით შეეძლო გაემარჯვებია შეიარაღებულ აჯანყებას. ჯარში დეზორგანიზაცია იყო. საქმე იქამდე მივიდა რომ მთავრობა იძულებული იყო იარაღი წაერთმია და კაზარმებში ჩაემწყვდია ჯარის დიდი ნაწილი. ეშინოდათ ჯარის ხალხის მხარეზე გადასვლის. ამასთანავე მოსკოვის მცხოვრებნი აჯანყებულთ ემხრობოდენ და ენერგიულ დახმარებას უწევდენ. რევოლიუციური მებრძოლნი ვერაფერს გააწყობდენ, რომ მუშა ხალხს არ მიესწრო მათთვის. მუშა ხალხმა საარაკო სისწრაფით გააბა მთელ ქალაქში ბარიკადების მთელი ბადე. მხოლოდ ამ ბარიკადების დასარღვევათ ჯარს მთელი თავისი ძალ-ღონე უნდა მოეკრიბა. მაგრამ საბოლოოთ აჯანყება გაიმარჯვებდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, საყოველთაო გაფიცვას რომ გაემარჯვებია. როცა ენგელსი თავის წინასიტყვაობას წერდა, მაშინ ძლიერ ნაკლებათ ესმოდათ საყოველთაო მასიურ გაფიცვის მნიშვნელობა. ამიტომ ენგელსი არ ანგარიშობდა მას, მაგრამ ჩვენ რუსეთის ცხოვრების მეოხებით უკანასკნელ ხანებში სრულიად ნათელი წარმოდგენა გვაქვს პოლიტიკურ მასიურ გაფიცვაზე. რუსეთის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ხშირმა მასიურმა გაფიცვამ გასტეხა ჯარის დისციპლინა. გაფიცვამ თავი მოაბეზრა ჯარს, მას მოსწყინდა მუდამ პოლიციელის ვალდებულების ასრულება, რომელიც მას არავითარ სახელს და კმაყოფილებას არ აძლევს. მოსკოვის მაგალითმა გვიჩვენა თუ რა აუცილებელია საყოველთაო გაფიცვა შეიარაღებულ აჯანყების დროს. რუსეთის სხვა ქალაქების და უმთავრესათ პეტერბურგის მუშები რომ არ ყოფილიყვნენ ისე დაქანცულნი მოსკოვის ამბების დროს, რომ მათ შეძლებოდათ როგორც რიგია საყოველთაო გაფიცვის ჩატარება, მთავრობა ვერ მოახერხებდა მოსკოვის ჯარისთვის ზურგი გაემაგრებია და ჯარი მიეშველებია. ის რომ ისე დაშლილ-დაქუცმაცებული ყოფილიყო, როგორც ოქტომბერში იყო, მოსკოვის აჯანყება გამარჯვებით გათავდებოდა. აი მოსკოვის გაკვეთილები. რა გავლენას იქონიებს ეს გაკვეთილები ბრძოლის შემდეგს მსვლელობაზე, ახლა ძნელია ამის თქმა. ყველა რევოლიუციონური გამოსვლისა და შებრძოლების დროს რუსეთში აქნამდი ვნახეთ თუ რანაირათ, სტიქიურათ აღდგა სრულიად მოულოდნელათ შეუკავშირებელ-გაუწვრთნელი მასა. არც ერთი შებრძოლება, არც ერთი გამოსვლა არ იყო მოწყობილი და მომზადებული და რამოდენიმე ხანს ალბათ შემდეგშიაც ასე იქნება.

ჩვენ ახლა არ შეგვიძლია რევოლიუციის შემდეგი ფორმების განსაზღვრა, მხოლოდ, ის კი დღესავით ნათელია, რომ ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით ვუცადოთ შემდეგ ბრძოლას. ახლანდელი მყუდროება არის მყუდროება ქარიშხლის წინ. ოქტომბრის მოძრაობამ დაანახვა ქალაქების და სოფლების მშრომელ ხალხს, თუ რა ძალა იმალება მასში, ხოლო იანვრის რეაქციამ ის მწუხარების და უბედურების უფსკრულამდე მიიყვანა. რეაქციამ ყველა აამხედრა თავის წინააღმდეგ და ახლა რაც უნდა ძვირათ დაუჯდეს ეს მუშა ხალხს, მან უნდა დაახწიოს თავი ამ უფსკრულს. მუშა ხალხი ხელ-ახლა დატრიალდება უფრო მეტი ენერგიით, უფრო მეტი სიცხოველით. დეე, იდღესასწაულონ, დეე, იპარპაშონ კონტრ-რევოლიუციის შავმა ძალებმა თავისუფლებისათვის თავგანწირულ მებრძოლთა საფლავებზე. მკვდრეთით აღდგომა მალე დადგება, განკითხვის ჟამი ახლოა და პროლეტარული რევოლიუცია ხელ-ახლა გაიმარჯვებს.

საიდუმლო პოლიციის უფროსი ვიქტორ გრინიათ, რომელსაც ქრთამების აღების გამო ყოველივე ღირსება ახალ სასამართლოში და გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. შემდეგ კი გრინისთვის სასჯელი უპატიებიათ ხელმწიფეს და ისევ ძველ ადგილზე დაუბრუნებიათ.

ეხლა მოკლეთ მოვისმინოთ ზოგიერთ ტუსაღთა ჩვენება, გაზ. „რუს“-ში გამოქვეყნებული.

მარჩიკის ჩვენება. „ოთხი დღის განმავლობაში მე მცემდნენ ჯოხს, თავიდან მაგლეჯდნენ თმას, მაწვენდნენ იატაკზე და ხტუნავდნენ ჩემ მკერდზე და ბოლოს, როცა მაინც ვერ მათქმევინეს ის, რაც მათ სურდათ მოიტანეს მარწუხი და კბილების ძალით დამაჭირეს. ყველა ამას დაამოწმებს სატუსაღოს ექიმი, რომელსაც ეს ამბავი ვუამბე იმ დღესვე, როცა ციხეში გადამიყვანეს“.

მორავსკის ჩვენება. „აგენტებმა, რიცხვით 15 კაცმა, ჩამომწყვდიეს ოთახში, ერთმა მათგანმა თმაში მტაცა ხელი, ორმა დამიჭირა ხელები, დანარჩენებმა კი დამიწყეს ცემა გვერდებში და მუცელში და ეს გაგრძელდა მანამდე, სანამ გრძნობა არ დამეკარგა. ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა ოთხ დღე და ღამეს, სანამ სატუსაღოში გადამიყვანდნენ“.

პლოხოცკის ჩვენება. „დამიჭირეს ხელი და ფეხი და დამიწყეს ცემა მკერდში თოფის კონდახით, მუცელში ფეხით. იმდენათ გამიჭირდა რომ ყოველივე კითხვაზე „კის“ ვეუბნებოდი. ორ საათს გაუჩერებლათ გამაჩერეს ფეხზე, თუ ოდნავ გავინძრეოდი მცემდნენ. მესამე დღეს მოვიდა აგენტი და მკითხა—ღმერთი გწამს თუ არაო? ჩემ კითხვაზე თუ რათ დასჭირდა მას ამის ცოდნა, მან ცემა დამიწყო... როცა წყალი ვითხოვე სასმელათ, მიპასუხეს: შენისთანა ძაღლს რათ უნდა წყალიო. ბოლოს შევეხვეწე—ან მომეცით თავის მოკვლის საშუალება, ან თქვენ მომკალით მეთქი. არ დათანხმდნენ. სხვა ოთახებიდან კვნესისა და ყვირილის ხმები მესმოდა“..

ანტონ ოტოცკის ჩვენება. „საიდუმლო პოლიციაში ჩვენ თითო გოროდოვოი მოგვიჩინეს და უბრძანეს: რამდენიც დაგჭირდეთ სცემეთ, ნუ დაიშურებთო. პოლიციელმა იმდენი იერთგულა, რომ ყურები დამაგლიჯა, სახე კი ერთიან დამისისხლა.

„გრინმა დამიწყო უწმაწური სიტყვებით ლანძღვა და მაძალებდა იმ ბინის დასახელებას, სადაც ჩემი ნაცნობები იკრიბებიან. როცა უარი ვთქვი, ჯაშუშებმა მტაცეს ხელი და იმდენი მცემეს, რომ გონება დავკარგე. იქამდე მიმიყვანეს, რომ ბოლოს ყოველივე ვთქვა...

„10 დღეს ვიჯექი იქ, სამი დღის განმავლობაში არაფერი მიჭამია, ძილით კი სულ არ მაძინია არც ერთი წუთი, რადგანაც მაშინებოდა თუ არა ცემას დამიწყებდნენ და გამაღვიძებდნენ“.

ვარშავის ციტადელში პოლიტიკურებმა შიმშილობა გამოუცხადეს. მოთხოვნილება: 1) ჩვენების ჩამორთმევა და 2) გაძიება გრინის საქციელისა. ციტადელში მრავალი ტუსაღია, რომელთაც არავითარ ბრალს არ დებენ.

არჩევნები რუსეთში. ხარკოვში, წვრილ მესაკუთრეთა რწმუნებულებმა, რიცხვით 51 კაცმა, თავმჯდომარეს გამოუცხადეს, რომ ჩვენ დავაბარეს ჩვენმა ამრჩევლებმა ისეთი პირები ამოვირჩიოთ, რომლებიც ეცდებიან გლეხებს დაურიგონ მიწა არა ნაკლებ ხუთი დესეტინისა, წოდებათა გათანასწორებას, უფასო სწავლებას და ყველა პოლიტიკურ ტუსაღთა განთავისუფლებას მოითხოვენო.

მოსკოვიდან სახელმწიფო სათათბიროში გავიდან კონსტ.-დემოკრატები.

— მინისტრ დურნოვოს უთვალ დღე მოსდის დეპეშები გუბერნატორებისაგან, სადაც ატყობინებენ, რომ უმეტეს ნაწილათ კონსტიტ. დემოკრატები გადიან.

— ტვერის გუბერნატორმა 13 მარტს შეატყობინა შანკგან სამანისტროს: იმ პირობით დავრთე ნება კონსტ. დემოკრატების კრებას, თუ სოციალდემოკრატებს არ შეუშვებენ კრებაზეო.

— 13 მარტს დურნოვომ დეპეშით მისწერა პოლონეთის გუბერნატორებს: იმ სოფლებში, სადაც საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო პირველი არჩევანი არ შედგა, ხელმეორე არჩევნები არ დანიშნოთო.

რკინის გზაზე მოსამსახურე ამრჩევლებს ნება მისცეს უფასოთ იმგზავრონ იმ ადგილამდე, სადაც არჩევნებია დანიშნული.

ვილნოში დატუსაღებული დ-რი რომელიც წევრი არის კონსტ.-დემოკრატების პარტიისა, რადგანაც მთავრობას ეშინოდა მისი კანდიდატურის, ის ამიტომ მასისამდე გადაასახლეს საზღვარ-გარეთ.

მოსკოვის გუბერნიის მუშათა რწმუნებულებმა სახელმწიფო სათათბიროს ამრჩევლათ აირჩიეს 17 მუშა; მათ რიცხვში 8 სოციალდემოკრატი, 6 კონსტ.-დემოკრატი, 1 სავაჭრო სამრეწველოს პარტიის წევრი და ორი კი არც ერთ პარტიას არ ეკუთვნის.

აჯანყების მოლოდინში ცარსკოე სელოს რკინის გზის დაცვა მისცეს სემიონოვის პოლკის სალდათებს.

— დურნოვომ მისწერა გუბერნატორებს: ამ ბოლო დროს კლუბები პოლიტიკურ მიტინგებათ აქციეს. გამოუცხადეთ მათ, რომ პროგრამას ნუ გადასცილდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში 24 საათში დაკეტეთო.

— ადესში ჟანდარმებმა და კაზაკებმა გაჩხრიკეს მუშათა საკვირაო სკოლა. რამდენიმე მუშას უპოვეს აკრძალული ლიტერატურა. დატუსაღეს სკოლის გამგე, ყველა მასწავლებლები და 70 მოწაფე-მუშა.

უმაღლესი ჯილდო. ხელმწიფე იმპერატორმა ვერცხლის სამელნე აჩუქა დევ ტიხომიროვს, ყოფილ რევოლიუციონერს და ეხლ ცნობილ „მოსკოვის უწყებების“ თანამშრომელს, იმ ნაწარმოებისათვის, რომელსაც სახელათ ქვია „მონარქიული სახელმწიფო“.

რუსეთის ფინანსების მდგომარეობა. რუსეთის 100 მანეთი 2,60 მარკით უფრო იაფია ჩვეულებრივ კურსზე. ამის გამო ნემეცურ მარკებს ეიღულობენ ჩვენი ქაღალდის ფულებით და ყიდიან ჩვენ ოქროზე. სახელმწიფო ბანკი ძალიან ბევრს ზარალობს ამის გამო და რომ რამდენიმეთ ზარალი შეამციროს—გამოაცხადა:—1000 მარკაზე მეტს ერთ კაცს არ მივყიდითო. რა თქმა უნდა, ამ კანონსაც გვერდს უვლიან ხერხიანი კომერსანტები.

სახელმწიფო ხაზინის ქონება თან და თან კლებულობს: 56 მილიონიდან ერთ კვირაში 33 მილიონამდე დაიწია თანხამ. შარშან ამ დროს 113 მილიონი იდო შიგ, იაპონიას ომამდე რამდენიმე ასი მილიონი ქონდათ. აუცილებელია სეს ის შოვნა, მაგრამ სად არის?

სახელმწიფო ბანკში ოქროს რაოდენობამ 926 მილიონიდან 921 დაიწია, ქაღალდის ფული კი 17 მილიონით მეტია იმაზე, რაც ქონდათ. აქტიური ოპერაციები ბანკისა 20 მილიონით შემცირდა.

გროდეკოვის დეპეშა. „პეტერბურგი. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ვეიენბერგს. ოკუნცოვს, შინკმანს, მირსკის სიკვდილით სასჯელი სამუდამო კატორღით შეეცვალა“...

ბიუროკრატიის სამეფოდან. „რუსი“-ს სიტყვით ვიტეს წასვლა უკვე გადაწყვეტილია. ის ამ დღეებში თავს დაანებებს სამსახურს. მას თან გაჰყვება დურნოვოც. ვინ იქნება მათი მოადგილე? ამდენ ხანს გორემიკინსა და კოკოვცევს ასახელებდნენ, ეხლა კი ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორი ლიბერალი გერარდიც დაუსახელებიათ და კიდევ ამიტომ ასტეხა საშინელი განგაში გერარდის წინააღმდეგ „ნოვოე ვრემია“-მ, რომელიც ყოველთვის სისხლის პირით ლაპარაკობს. სისხლის პარტია წინააღმდეგი ყოფილა გერარდის დანიშვნისა.

— მართლ-მსაჯულების მინისტრი აკიმოვი ძალიან გამწყრალა სასამართლოებზე—რედაქტორებს საკმაო სისასტიკით ვერ ექცევითო. უკვე მოუხდენია მას „შესაფერი განკარგულება“ და ამ ბოლო დროს ისე გაუტაცნია რედაქტორების საქმეს, რომ ყველა სხვა საქმეები თითქმის მიატოვა, სწერს „ნაშ. ჟიზნი“.

ღია წერილი

შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს მიმართ.

წარსული წლის დამლევს (ოქტომბერში) საერთო შავი-ქვის მრეწველთა კრებამ გადასდო თანხა მოსწავლეებისთვის სტიპენდიების დანიშვნის შესახებ და მაშინვე გაანაწილეს კიდეც ის ფულები მოსწავლეთა შორის და შედგა კიდეც საერთო სია შავი-ქვის მრეწველთა სტიპენდიანტებისა. მას შემდეგ აგერ ხუთი თვე გადის და ზოგიერთ სტიპენდიანტს დღესაც არ მიუღიათ არავითარი არამც თუ სტიპენდია, უბრალო შემწეობაც კი. სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ამისთანა საერთო გაჭირვებულ დროში საბჭო უფრო დიდი ყურადღებით უნდა გაძღოლოდა ამ საქმეს, და ამის მაგიერ ჩვენ ვხედავთ, რომ იგი კრებისგან მონდობილებასაც კი არ ასრულებს. შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თვითნებობა, რასაკვირველია, ახალი ამბავი არ არის, მაგრამ თუ ეხლაც წინანდელ გზას დაადგებოდა იგი და ისიც ამისთანა დროს ამას აღარ წარმოვიდგენდით. საინტერესოა ვიცოდეთ. ასევე იქცევა საბჭოს წევრები და მისი ბობოლა მოსამსახურეები ოც რიცხვებში, როცა ასობით და ორასობით ჩაიჩხრიალებენ ხოლმე ჯიბეში ოქროებს. ჩვენ სასტიკ პროტესტს ვაცხადებთ საბჭოს ამნაირი თვითნებობის წინააღმდეგ და მოვითხოვთ, რომ დაუყონებლივ დაურიგონ სტიპენდიანტებს ხვედრი სტიპენდიები... მაგრამ რას ვამბობ!.. რა უნდა მოვთხოვოთ იმ საბჭოს, რომელსაც სათავეში უდგას ყველასგან ცნობილი ყოფილი პოლიციელი და რომელიც წინეთ საავადმყოფოს ეკონომათ იყო კიათურაში და საბჭომ იგი დაითხოვა სხვადასხვა მიზეზების გამო, რომლებსაც აქ არ ვასახელებთ. უთუოთ ესეც საერთო რეაქციის ბრალია!

ერთი სტიპენდიანტის პატრონთაგანი.

დეპეშები

(პეტ. დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 მარტი.

პეტერბურგი. სენატის უქაზით შეუმცირდათ სასჯელი იმ გადასახლებულთ, რომლებიც ომის გამო იძულებული იყვნენ 1905 წ. მეორე ნახევარში სახალხო მიტინგებიათ და ციმბირის გუბერნიაში და აგრეთვე ევროპის რუსეთში გადმოსახლებულიყვნენ. გაზ. „რუსის“ რედაქტორი კრომალევი დაიჭირეს.

გაზ. „ბირჟევოი ვედომოსტი“-ს ცნობა, ვითომც შავი ზღვის განაპირა კავკასიაში 20,000 ოჯახის დასასახლებლათ მიწათმოქმედების სამმართველომ 900,000 მ. გადადო, სიმართლეს მოკლებულია, ვინაიდან კავკასიაში გადმოსახლება შეჩერებულია, რადგანაც დასასახლებელი ადგილები ნაკლებია.

გაზ. „რუსი“ არ გამოსულა. მესამე ამომრჩევლათ სახელმწიფო საბჭოში სამეცნიერო აკადემიამ აირჩია აკადემიკი „ბოროდინი“, რომელიც ტყის ინსტიტუტის პროფესორი იყო. გაზეთების სიტყვით კროპოტკინი ცხოვრობს პსკოვის გუბერნიაში თავისი დედის მამულში და ომის ანგარიშს ათავებს.

გუშინ რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან მიღებული დეპეშები ამტკიცებს, რომ არჩევნებმა ყოველგან მშვიდობიანათ ჩაიარა. კიევში, ეკატერინოსლავში, კიშინოვში და სოსნიცაში ძლიერ აგიტაციას ეწეოდენ. ჯერ-ჯერობით გამოირკვა, რომ ეკატერინოსლავში ზომიერებმა გაიმარჯვა, 80 ამომრჩეველში 15 ებრაელია. ოქტომბრისტები ქერჩში და პავლოგრადში მეტია. პენზაში, კოზელში, ლუგაში, ბოგოდუხოვში, ლებედინში, ოსტაშკოვში და ვოლოგდაში კადეტებმა თავისი კანდიდატები გაიყვანეს. ვერხნოდნეპროვსკში და ბელცაში უკიდურესმა მემარჯვენეებმა გაიმარჯვა. ურჟუმში და სარანოვსკში პროგრესისტები მეტია. უფაში და სპასკში, რიაზანის გუბერნიაში, არჩევნები გაასაჩივრეს.

სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლებათ აირჩიეს უნივერსიტეტებში: ნოვოროსიისკში პროფესორები: ლინში, პეტრიაშვილი და ლანგე—ყველა კადეტია. ყაზანში—რაგამოვსკი, ივანოვსკი და კაპუსტინი—ყველა ოქტომბრისტებია; მოსკოვისაში—კლიუჩევსკი, ვერნადევი, ალექსეევი. ხარკოვისაში—ბაგალეი და ლევიცკი—ორივე კადეტია და ორლოვი—კონსერვატორი,

მოსკოვი. 787 ხმიდან მოსკოვის მაზრაში 500 ხმა კადეტებს მისცეს, 200 ხმა ოქტომბრისტებს და ვაჭრობა მრეწველობის კანდიდატებს, 10 მონარქისტებს. აირჩიეს 8 ამრჩეველი—ყველა კადეტებია. ბირჟის შენობაში ვაჭრობა-მრეწველობის პარტიის და ოქტომბრისტების ბლოკის კრება იქნება, ამ კრებაზე განიხილვენ კადეტების გამარჯვებას. იოსკოვის მამხედრო „გოსპიტალში“ კაზაკის ოფიცერი აბრამოვიჩი, რომელსაც სპირიდონოვის ქალის საქმეში ვიცნობთ, გამოგზავნეს მისი სულიერი მდგომარეობის გამოსაკვლევათ.

დაიჭირეს გაზეთ „ბულოჩნიკის“ რედაქტორი შიბაევი. დაიჭირეს გაზეთ „პუტის“ ყველა ნომრები. ორი საიდუმლო სტამბა აღმოაჩინეს.

კოსტრომა. რეალური სასწავლებლის ინსპექტორი, რომელსაც ხაზინიდან მასწავლებლების ჯამაგირი 2000 მანეთი მოქონდა შეიარაღებულ ახალგაზდებმა გაძარცვეს. მძარცველები მიიმალნენ.

რიგა. დროებით სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა მიხელსონს, რომელმაც მესაათის მაღაზია გაძარცვა და ოკოლოდოჩნიკის მოკვლა განიზრახა.

ვლადივასტოკი. (ოფიციალური) ვლადივასტოკის გენერალ-გუბერნატორი იუწყება: „რუსეთის სააგენტოს დეპეშა 14 მარტის თარიღით იტყობინება, რომ შეზარხოშებულ მატროსებს და კაზაკებს შორის შეტაკება მოხდა და დაჭრილები არისო. ეს დეპეშა გამოგონილია. არავითარი შეტაკება არ ყოფილაო.

ნიჟნი ნოვგოროდი. საოლქო სამხედრო სასამართლომ მუშებს სემიკლეტოვს და დრუჟინინს, რომლებმაც სორმოვის ქარხნის მმართველის კაბინეტში ყუმბარა გადააგდეს, თორმეტი და რვა წლის კატორღა მიუსაჯა.

ბერლინი. დეპუტატების პალატამ უარყო თავისუფალ მოაზრეთა წინადადება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი არჩევნების შემოღების შესახებ.

21 მარტი.

მარსელი. (ჰავასი) თერთმეტ საათზე საღამოს, სავაჭრო სახლში (?) აფეთქება მოხდა. სრულიად დაინგრა რესტორანი, თამბაქოს და აფთიაქის მაღაზია, მძიმეთაა დაჭრილი რესტორანის მოსამსახურე.

ქუთაისი. ხონსა და ქუთაის შუა ორმა შეიარაღებულმა მძარცველმა შეაჩერეს ორი მიმავალი დილიჟანსი და ოცდა სამ პასაჟირს წაართვეს 1500 მ. და მიიმალნენ. მძარცველები იცნეს და ლონისძიებაა მიღებული მათ დასაჭერათ.

პოლტავა. ყველა მონაწილე კაპელინის განყოფილების გლეხთა კავშირისა სამართალშია მიცემული, ბრალს დებენ სისხლის სამართლის დებულების 120 მუხ. ამასთანავე სამართალშია მიცემული ის პირნი, რომლებმაც გაანთავისუფლეს დაჭერილი დამნაშავენი. კაბლიანის მაზრის ვოლოსტებში აირჩიეს ზომიერები და მემარჯვენენი.

პეტერბურგი. ვოლოსტის რწმუნებულების სიაზე მარიუპოლში აირჩიეს ორი ამრჩეველი, ამათ რიცხვში 6 გლეხი, გერმანელი—ახალშენი; ებრაელი—ახალშენი, ვოლოსტის მამასახლისი, სოფლის მასწავლებელი.

პეტერბურგი. „რუსკოე გოსუდარსტვო“ უარყოფს გაზ. „რუსის“ ცნობას, ვითომც შმიდტის და სხვა დახვრეტილების გვამები გასჭრეს და შემდეგ ზღვაში გადაყარესო.

ვლადივასტოკი. ბევრი იაპონელი მოდის, მაღაზიებს ხსნიან და მხოლოდ იაპონიის საქონელს ყიდიან.

ხარკოვი. გუბერნიის საერობო კრებამ დეპეშით მიმართა მთავრობას და იშუამდგომლა, რომ აპრილის კრება, რომელიც მოწვეულია სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლების ასარჩევათ, ჩვეულებრივი იყოს, რომ შეძლონ ყველა თავისი ფუნქციების ასრულება.

მიტავა. ქალაქის სამმართველომ მიიღო ბალტიის მხრის საგუბერნიო ქალაქებიდან წინადადება, რომ აირჩიონ ორი წარმომადგენელი ბალტიის მხრის გენერალ-გუბერნატორის საბჭოში. ნაიდღვომევს საბჭო ექვსი გლეხის, ექვსი ქალაქის და ექვსი აზნ. წარმომადგენლების მონაწილეობით შეუდგებიან მხარის რეფორმების შემუშავებას.

ვლადივასტოკი. გენერალი მიშჩენკო ავადმყოფობის გამო წავიდა და მის ნაცვლათ გენერალი ანდრეევი მოვიდა. წესრიგი სამაგალითოა. კორეიდან იტყობინებიან, რომ იაპონიის საზღვრის დარაჯები მდინარე ტუმეპულაზე უკრძალავენ რუსეთის საზღვრებში გასვლას ჩინელებს და კორეელებს. ყველა ქოხების და სახლდარი ხ. რების პატრონებს გადასახადები შეაწერეს—10 მარტი ქოხის პატრონებს და 8 მან. ხარის პატრონს. კორეელები ჩუმათ გამოდიან ზღვის ნაპირებზე. ჩინელები ამტკიცებენ, რომ „დალნის“ და არტურს ვაჭრები სტოვებენ, ვინაიდან იაპონიის ვაჭრებს მეტოქეობას ვერ უწევენ.

კოკონდი. სამი ქართველი და სომეხი, რომლებიც მატარებლით ტაშკენტიდან მოდიოდნენ, შეიპარნენ ფოსტის ვაგონში, მოკლეს ორი ფოსტის ჩინოვნიკი და სტრაჟი, წაიღეს მთელი კორესპონდენციები. რამდენი წაიღეს ჯერ არ იციან. ამბობენ, რომ დიდძალი ფული უნდა იყოს, ვინაიდან ოცი რიცხვისთვის ყოველთვის ბლომათ აგზავნიან. სადგურ სერნიაევში ბებერმა ქალმა ორი მძარცველი იცნო. გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა, რომ მათი ტანისამოსი სისხლით იყო მოსვრილი და ჯიბეში კონვერტის ნალეტები უნახეს. დანარჩენი ორი, რომლებიც მატარებლიდან გადახტნენ, „გალოდნაი სტეპის“ სადგურზე დაიჭირეს.

კოკანდი. ძველ მარგელანში მძარცველებმა მოკლეს მდიდარი ქარხნის პატრონი აბდურხამან-შეი ხალნაზარბაევი.

ეკატერინოსლავი. ეკატერინის რკინის გზის უფროსმა გამოაცხადა, რომ ამა თუ იმ პარტიის წევრობა ეს პირადი რწმენაა და მოსამსახურეებს არ აეკრძალება, მაგრამ ეკრძალებათ ყოველგვარი კავშირები, ორგანიზაციები, ხელმოწერა, მოწოდებები, ბროშიურების კითხვა და პარტიული ორგანიზაცია.

მიტავა. დამით ბოროტგამზრახველები დაეცნენ სადგურ ფილცგრაფენს და კასსა გაძარცვეს.

რიგა. უსტდვინის ციხეში ჩამოახრჩვეს სპეკომი, რომელმაც ლიბავაში პოლიციელი მოკლა.

პინჩოვი. ამ უკანასკნელ ხანებში სამი ღვინის დუქანი გაძარცვეს, დაიჭირეს ხუთი მძარცველები.

მოსკოვი. ერთი სახლის ბაღჩაში ნახეს ორი ყუმბარა.

რეველი. დღეს რეველის ოლქის სასამართლოში დაიწყეს 14 მუშის საქმის გარჩევა, რომელთაც ოქტომბერში მემამულეების ქონების დარბევა ბრალდებათ. აკერმანის მაზრაში მსხვილ მემამულეებმა აირჩიეს მაზრის წინამძღოლი, 43 მიწათმფლობელი, რომელთა შორის ერთი კადეტია—სამი ოქტომბრისტია. წვრილ მემამულეებმა—საერობო სამმართველოს წევრი, სამი სახალხო მასწავლებელი, 8 გლეხი, რომელთა შორის ხუთი ოქტომბრისტია და 7 კადეტი. ბახმუტში არჩევნები ძლიერ საინტერესო იყო. დონეცის წარმოების ინჟინრები მოვიდნენ—უმრავლესობა ოქტომბრისტებია. კადეტებსა და ოქტომბრისტებს შორის ბრძოლა ატყდა.

პეტერბურგი. როჟდენსტვენსკის ნაწილში კადეტებმა გაიმარჯვა. მონაწილეობას იღებდა 5601 კაცი—აირჩიეს 14. თვითეულმა მიიღო 3200 ხმა.

წვრილ მემამულეების სიებზე უწინდებურათ ირჩევენ პარტიის გარეშე მყოფ გლეხებს და მღვდლებს. პინჩოვში აირჩიეს ქსენძი და კათოლიკე—ეკატერინოსლავში 95 პროცენტი მუშებისა ეკუთვნის ზომიერებს, გაზ. „რუსკოე გოსუდარსტვოში“ არის მოთავსებული ვიტეს საუბარი ერთ ახლობელ ნაცნობთან. გრაფი ჯანმრთელობით და მიუხედავათ მოხუცებულობისა ბევრსაც შრომობს. მიუხედავათ ავათმყოფობისა ის ფაქტიურათ გახსნის ახალ საკანონმდებლო დაწესებულებას. სახელმწიფო დუმის გახსნის შემდეგ სამსახურიდან გასვლა მაზე არაა დამოკიდებული, შემდეგ ახალი ხანა დაიწყება რუსეთის სახელმწიფოში. მინისტრების საბჭოს, რომ ხელმძღვანელობა გაუწიოს ასეთ დროს არჩეული იქნება ისეთი პირი; რომელსაც ხელმწიფე ენდობა.

ადმირალ ტეისტოვის ნაწილში კადეტების სია გავიდა. ოთხმა ამრჩეველმა მიიღო 1500 ხმა, ერთმა 1395 ხმა მიიღო. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2447 ამრჩეველმა. ვიბორგის მხარეში კადეტები გავიდა. 2832 ამრჩეველი იყო, აირჩიეს 9, ყველამ მიიღო 18000 ხმაზე მეტი. ქალაქის ამრჩევლების სიებმა ჟიტომირში აირჩია ორი ებრაელი, ენოტაევში 863 დან, მხოლოდ 75 გამოცხადდა, აირჩიეს ორი ვაჭარი; გომელში დამატებითი არჩევნები მოხდა. ვოლოსტის რწმუნებულების სიებით დუგანსკში არ შედგა. 56 ამრჩევლებიდან ერთი მოვიდა. სახელმწიფო საბჭოს ამრჩევლათ აირჩიეს ჩერნიგოვის თავად-აზნაურთა კრებამ კრასოვსკი და გუბერნიის საკრებულოს წევრი პრამჩენკო: ყაზანის ნაწილში პეტერბურგში კადეტებმა გაიმარჯვა. მონაწილეობას იღებდა 3429, აირჩიეს 8, თვითეულმა მიიღო 2000 ხმაზე მეტი.

ლონდონი. საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა ბარტუმ ინახულა გადარჩენილი მუშები და პრუსია და ნემეს მადნის მუშებს საპატიო ლეგიონის ჯვრები დაურიგა—დანარჩენებს პირველი ხარისხის ოქროს მედლები. ბარტუმ განაცხადა, რომ გერმანულ გადამრჩენელ რაზმის ხელმძღვანელს საპატიო ლეგიონის ორდენს მივცემ, რაზმის წევრებს კი ოქროს მედლებსო.

პარიჟი. გრაფმა კასსინიმ „ტანის“ თანამშრომელს უთხრა, რომ მაროკოს საქმეში რუსეთმა დაამტკიცა ერთგულება კავშირისადმი. „ჟურნალი დე დება“ აცხადებს—ბირჟაზე ხმები დადის, რომ ამ თვის ბოლოს რუსეთის ახალი სესხი გამოვაო,

ბერლინი. პოლიციის უფროსი აცხადებს, ის ხმები თითქოს 7000 რუსი გაგვეგზავნოს გერმანიიდან ტყუილია. საშუალო რიცხვით ვაგზავნიდით კვირაში 50—60 ღარიბსა და უპასპორტოს. ყოველ შემთხვევაში 7000 არც ერთ შემთხვევაში არ ავა გადასახლებულთა რიცხვიო.

(რუსეთის სააგენტო)

21 მარტი.

პეტერბურგი. ქალაქის ამრჩევლებში ამრჩევლებლათ სახელმწიფო დუმაში ლიტეინის ნაწილიდან 11258 ამრჩევლებიდან, მხოლოდ 6161 მისცა ხმა, როჟდენსტვენსკის ნაწილში იყო ამრჩევლები 12574, ხმა მისცა 5532 სპასკისაში—15054, ხმა მისცა 8400 მოსკოვისაში—16428, ხმა მისცა 8070 ალექსანდრონევსკისაში—15000, ხმა მისცა 5216, კოლომენისაში—8450, ხმა მისცა 3650; ვასილეოსტროვისაში—10000, ხმა მისცა 6,000; პეტერბურგისაში—17,000 ხმა მისცა 9,000; ნარვისაში—14,760, ხმა მისცა 6013; ადმირალტეისტვაში—4470, ხმა მისცა 2392; ყაზანისაში—6756, ხმა მისცა 3429; ვიბორგისაში—7965, ხმა მისცა 2832.

პირიამურის საგენერალ-გუბერნატოროში სახელმწიფო საბჭოს ამრჩევლების სახელმძღვანელო პროექტი დასრულდა. პროექტს განიხილავს კომისია გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით.

ტვერი. გუბერნიის სამმართველოს თოფის საწყობი გატეხეს. გაძარცვას ხელი შეუშალეს და თოფები ბოროტ-გამზრახველებმა მიატოვეს.

ტომსკი. სისხლის სამართლის დამნაშავე ბერდნიკოვი, რომელსაც ჩამოხრჩობა მიუსაჯეს სისრულეში მოიყვანეს.

მიტავა. სამხედრო სასამართლოს განაჩენი ბესენსკის შესახებ, რომელსაც ჩამოხრჩობა მიუსაჯეს ტუკუმში დრაგუნის მოკვლისათვის სისრულეში მოიყვანეს.

ბაქო. ხუთი ყაჩაღი პროკურორის, ჟანდარმის ოფიცრის, ოკოლოდოჩნის და გოროდოვოის ტანისამოსში გამოწყობილები დადიოდენ 18 მარტს მდიდარი მაჰმადიანების კანტორებში და ჩხრეკდენ, ვითომც ყალბი ფულების აღმოსაჩენათ. ერთ ადგილას სპარსეთის კონსული მოიწვიეს, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ ამას ნამდვილ პოლიცია შერებაო და გაჩხრეკას ხელი არ შეუშალა. ბოლოს ერთი კანტორიდან ტელეფონით დაეკითხენ პოლიციას და სიყალბე აღმოჩნდა. ბოროტ-გამზრახველები გაიქცნენ და რამდენიმე ასი მანეთ წაიღეს.

პეტროზავოდსკი. გუბერნიის საერობო კრებამ სახელმწიფო საბჭოს წევრათ აირჩია საველიოვი, გუბერნიის ერობის სამმართველოს თავმჯდომარე ოქტომბრისტი.

მოსკოვი. იაპონიიდან დაბრუნებული განსაკუთრებული კომიტეტის რწმუნებული ფონმეკკი ადასტურებს, რომ იაპონიაში სამზათ ემზადებიან ამერიკასთან, სურვილი აქვთ ფილიპინის კუნძულის დაპყრობა.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. მახარაძე**.

ტფილისი. ელისაბედის ქუჩა, სტამბა გ. თავართქილაძისა, № 17.